1001 სიტყვა ქალზე

შემდგენელი **ზურაბ დანელია**

გამომცემლობა
არტანუჯი

მხატვარი **თათია გიგანი**

საგამომცემლო ჯგუფი
თამარ გეგია
ზუბა კუდავა
მართა წიკლაური
ილია ხელაია

ISBN 99940-55-07-0

© გამომცემლობა **არტანუჯი, 2006**
© ზურაბ დანელია, 2006

მე ვარ ის, რაც არის, რაც იყო და რაც იქნება... ჯერ არავის აუხდია ჩემთვის საბურველი.

წარწერა ეგვიპტური ქალღმერთის – ნეითის

კვარცხლბეკზე.

ნუთუ ისე გადაეგება კაცობრიობა, რომ ქალი ამოუცნობ სამყაროდ დარჩება?

ოტია იოსელიანი

ქალი ყველაზე მისაღები შეცდომაა ბუნებისა.

მილტონი

შინაარსი

სიტყვა დედაზე;
სიტყვა დაზე;
სიტყვა ბებიაზე;
სიტყვა ცოლზე;
სიტყვა პატარძალზე;
სიტყვა ქვრივზე;
სიტყვა ქალის ასაკზე;
უცხოური სიტყვა ქართველ ქალზე;
სიტყვა მეძავზე;
სიტყვა დედაბერზე;
ქალის სიტყვა ქალსა და საკუთარ თავზე;
სიტყვა ლამაზ ქალზე;
სიტყვა ქალის უცნაურობებზე;
იუმორისტული სიტყვა ქალზე;
სიტყვა ქალის ერთგულებაზე;
სხვადასხვა;
პოეტური სიტყვა ქალზე.

სიტყვა დედაზე

როგორიც გყავდა დედაო,
შენც ისეთი ხარ ქედაო!

ქართული ანდაზა

● მოკლულის დედას სძინავს, გასაჭირში მყოფის დედას ძილი არ ეკარება.

არაბი ჰამადანი

● ვნატრობდი უბრალო ხალათს,
დედის ძვირფასი ხელით შეკერილს.

ლადო ასათიანი

● ჰოი დედანო, მარად ნეტარნო!
დიდება თქვენ და ტკბილსახსოვარნო;
რა იქნებოდა ჩვენთა დედათა
სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ?

ნიკოლოზ ბარათაშვილი

● დედის სიყვარულზე წმინდა და უანგარო ამქვეყნად არაფერია.

ბესარიონ ბელინსკი

● დედის გული სასწაულების ამოუწურავი წყაროა.

პიერ ჟან დე ბერანჟე

● დედამ სისხლში გადმომცა, მე საუნჯე ფარული:
მას ფულით ვერ მოიხვეჭთ, თქვენ კაცნი, განსწავლულნი.

გოტფრიდ ავგუსტ ბიურგერი

- *განსაცვიფრებელი ფაქტია, რომ გენიალური ადამიანების უმრავლესობას შესანიშნავი დედები ჰყავდათ, რომ მათ დედებისაგან გაცილებით მეტი მიიღეს, ვიდრე მამებისაგან.*

ჰენრი თომას ბოკლი

- სანამ კაცს დედა ჰყავს, სულ ახალგაზრდად ითვლება.

კონსტანტინე გამსახურდია

- საუკეთესო დედა ის არის, ვინც შვილებს მამის მაგივრობას გაუწევს, როცა ისინი დაობლდებიან.

- მიწიერი ყოფიერების მარადიული მეტამორფოზა, შობა და აღზრდა, დაღუპვა და კვლავ წარმოშობა – ესაა განუწყვეტელი და დაუღალავი ჯაფა დედებისა და თუ დედამიწაზე ყველაფერი განახლებადი განაგრძობს არსებობას – უწინარეს ყოვლისა დედობრივი საწყისი – გასაგები ხდება, რომ შემქმნელ ღვთაებას მივცეთ ქალთა სახე და ვუწოდოთ საპატიო სახელი დედებისა.

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

- ყოველივე მშვენიერი ადამიანში მზის სხივებისა და დედის რძისგანაა; აი, რა გვმსჭვალავს ჩვენ სიცოცხლის სიყვარულით.

მაქსიმ გორკი

- ბევრად სჯობია სიკვდილი
  მშობელი დედის წყენასა.

- შვილების მღერა რომ ესმის,
  დედის სიცოცხლე ტკბილია.

- ეგ, ხომ ჩემს საჩოხედ გინდა?
  ნაქსოვი დედის ხელითა
  არ გაიჭრების მახვილით,
  არ დაიწვების ცეცხლითა.

- დედისა ხელით მოწვდილი,

  შხამიც რომ იყოს ტკბილია.

- ლამაზად შვილის გამზრდელი
  დედა მიცვნია ღმერთადა.

ვაჟა-ფშაველა

- შვილი შვილია, მაგრამ დედისთვის რა ცეცხლი და ნავთია, ვინ იცის?

- დედები ყველაფერს პატიობენ შვილებს, თავის თავს კი – არა.

- თუ დედა გეძახის – გაიგონებ, დედის ძახილი ძალიან, ძალიან შორიდანაც ისმის, სულ რომ არაფერი გესმოდეს, დედის ძახილს მაინც გაიგონებ, სულერთია რას გეძახის.

- შვილის ზრდისას ხელახლა იქმნება დედის თვალსაზრისი ადამიანის ავკარგიანობის თაობაზე. და როცა მას სხვაგვარად ელაპარაკებიან ან სხვაგვარად უნდათ დააჯერონ – ისმენს, რაკი თვითონ ერთია და სხვა ათასი, მაგრამ ისე ხედავს, როგორც შეუძლია დაინახოს.

- დედა მარტო დედა არაა! ყველაფერია რაც ამ ქვეყანასთან გვაკავშირებს, რასაც სიცოცხლე ჰქვია, რასაც სული უდგას და მზე უცქერის.

- დედებს არ სიამოვნებთ თუ ბიჭები გოგოებზე სიტყვას ჩამოაგდებენ, მითუმეტეს – თუ მეგობრობენ.

- ძუძუმიტოვებულ ბავშვს დედის უბე, მაინც მთელ ქვეყანას ურჩევნია.

- დრო ვერ კლავს დედას, ვერ გვავიწყებს. მის ასიათასჯერ ხელმონაკიდებ კედელ-ყურეს რომ ვუბრუნდებით, სადაც ეხლა დედინაცვალია, დედა ცოცხლდება და კვდება, ცოცხლდება და კვდება.

ოტია იოსელიანი

- როცა მტრის იარაღს ხედავ, იმ წუთას დედის სახე გიდგება თვალწინ. იგი გიღიმის ან ტირის. ეს მისი ჩვეულებრივი გამომეტყველებაა. ამ დროს უკანასკნელი ხმები ჩაგესმის, თითქოს რაღაც ტყდება და ამით ყველაფერი მთავრდება – შენ უკვე აღარა ხარ.

კამიკაძის სახელმძღვანელოდან

- დედანი ვერ მოიგონებენ ისეთს სამკაულს, რომ იმოდენად დაიმშვენონ თავი, რამდენადაც სათნოება დაამშვენებთ.

ნიკოლა ლებლანი

- დედა მუცლით ატარებს შვილს სულ ცხრა თვეს.
  დედა ხელით ატარებს შვილს ვიდრე ფეხზე დადგება.
  დედა გულით ატარებს შვილს, შემდგომ, მთელი სიცოცხლე.

ფრიდრიხ ფონ ლოგაუ

- ამ ქვეყანაზე შენი სიკარგე
  ვის უხარია ყველაზე მეტად?!
  ყველაზე მეტად, თუკი ივარგებ, –
  ვინ იამაყებს?!
  – მშობელი დედა.

მუხრან მაჭავარიანი

- ისევ შენ, მშობელო დედაო,
  იმედად მიმყვები ჯარში,
  სურათი მოგეცა ნეტავი,
  ტყვია რას მიზამდა მაშინ?

გიორგი ნაფეტვარიძე

- ჩვენი გვიყვარს ცოლიც, დაც, მამაც, მაგრამ უბედურებისას ვიგონებთ დედას.

ნიკოლოზ ნეკრასოვი

- შენ კი გოგონავ, მომე მარჯვენა
  და ყური მიგდე როგორც ქირომანტს:
  სიმამაცეა შვილის გაჩენა,
  მაგრამ დედობა არის გმირობა.

შოთა ნიშნიანიძე

- ქალწულობა ძვირფასია,
  მაგრამ უნდა გახდეს დედა;
  თორემ ქალი ემსგავსება
  ეკალს, გაზრდილს ხრიოკზედა.

ანგელუს სილეზიუსი

- ის, რასაც ადამიანის თვალი ვერ ამჩნევს –
  ესაა – როგორ თანდათან გვიბერდება დედა.

სიონაგონი სეი

- ო, დედა კვნესის;
  მაგრამ ის კვნესა, წარსულის კვნესა,
  მხოლოდ მე მესმის!
- არ ვარ ობოლი, ამ ქვეყანაზე
  შენ მეგულები ნუგეშად სანამ...
  რა არის ტკბილი დედის ნანაზე?
  მე მიმატოვა ადრე იმ ნანამ.
- ისე არ გავა ღამე,
  არ დამენახოს დედა.
- მათს საფლავებს ვინმე ქვეყნად
  თუ იპოვის ნეტა?
  მაგრამ მაინც უცდის დედა...
  ო, ქართველი დედა...
  ქალს პატარა დაჰყავს ხელით,
  ბავშვი ზრუნვით ზრდილი,
  მომავალის დიდი სახე –
  შვილი – შვილი – შვილი.

გალაკტიონ ტაბიძე

- ხუმრობით
  დედა შევისვი მხარზე,
  მაგრამ მეჩვენა ისე მსუბუქი,
  ცრემლმორეულმა
  ძლივს გადავდგი სამი ნაბიჯი.

ისაკავა ტაკუბოკუ

- ცივი ტკივილების დავიწყების,
  თბილი გაკვეთილები მახსენდება, –

შენი ყოველდღიური გაკვეთილები, დედა!

მორის ფოცხიშვილი

- ბოროტი შვილის დედასა, რა მოაშორებს სევდასა.
- დედა მოკვდა შვილისთვინა, შვილი თავის-თავისთვინა.
- დედამ ცოტ-ცოტა აცხო და მამამ დიდი-დიდი ყლაპაო.
- დედაჩემის გამომცხვარი კვერი ახალციხეს ჩამყვაო.
- დედ-მამა შვილისთვისო, შვილი – თავისთვისო.
- კარგი დედა მომეციო, კარგი მამა ვიქნებიო.
- ფია-ფუა ყმაწვილსაო, დიდი ლუკმა – დედასაო.
- შვილმა რომ დედისთვის ხელისგულზე ერბო-კვერცხი შეიწვას, ამაგს მაინც ვერ გადაიხდისო.
- ქალს რომ დედა მოუკვდება, ბედი მაშინ შეეკვრება.
- ასი მამა ერთ დედად არ ღირსო.
- დედის ხელებში ბავშვს რომ სძინავს, მარცვლისოდენა ემატებაო.
- დედა რომ სწყევსო, ძუძუ ჯვარს სწერსო.
- მამა ერთია, დედა – ორი.
- დედის ლოცვა უფსკრულიდან ამომიყვანსო.
- ჩიტს გაზაფხული ახარებს, ჩვილ ბავშვს – დედა.
- დედამ თქვა მოვკვდებიო, ქალმა გავთხოვდებიო, სახლი კი ნაგვით აივსოო.
- დედა ხელს მაგრა მოგიქნევს, დაგარტყამს მაგრამ არ გეტკინებაო.
- რაც ყველა დედას შიგ გულში ხვდება,
ის მამას მხოლოდ მუხლამდე სწვდება.
- კარგი დედა შვილს არ ეკითხება, რამე ხომ არ გტკივაო?

- დედის წინ მორბენალ კვიცს მგელი შეჭამსო.

ქართული ანდაზა

- წყაროს წკრიალი რომ მესმის,
გულს რომ ახარებს ცივ-ცივი,
ეს დედაჩემის ხმა არის
და დედაჩემის სიცილი.

ალეკო შენგელია

- დედავ, ხატება არ დაგრჩა არსად,
  ჭაში ვიცქირო დამჩემდა სენი.
  შენ ხომ იდექი გვიმიან ჭასთან,
  ეგებ შიგ ჩაგრჩა ხატება შენი.

სიმონ ჩიქოვანი

- დედავ მშობელო, დედავ ტკბილო, ქართვლისა დედავ!
  მოგესალმები, ამბორს ვუყოფ შენს ფეხთა მტვერსა!

აქვსენტი ცაგარელი

- დედაც კაციაო, გვეუბნება ჩვენ ენა, და მამაცაო.
- დედის გული ზღვა არის სიყვარულისა; რომ უთხრა, შვილი რომ უკვდებოდეს, ორი დღის სიცოცხლე კიდევ მიემატება შენს შვილსაო, ოღონდ სული საუკუნო ჯოჯოხეთს უნდა მისცეო, დედა მაგასა იქს, შვილმა რომ ეს დედისთვის ქნას, დედა იწყენს.
- ტყუილად როდი ეძახიან მიწას "დედაო", იგი გვაწოვებს ჩვენ ძუძუსა, და იმას დავხარით დღე-და-ღამ, ჩვენი ჭირიც და ლხინიც ის არის.
- ქართველებისთვის "დედა" მარტო მშობელი არ არის, ქართველი თავის ენასაც "დედა ენას" ეძახის, უფროსს ქალაქს – "დედა-ქალაქს", მკვიდრს და დიდ ბოძს სახლისასა – "დედა-ბოძს", უდიდეს და უმაგრეს ბურჯს – "დედა-ბურჯს", სამთავრო აზრს – "დედა აზრს", გუთნის გამგებელ მამაკაცსაც კი – "გუთნისდედას". რამდენად განდიდებულია მნიშვნელობა დედისა, რამდენად გამრავალგვარებული, გაპატიოსნებული, გაძლიერებული, გაღონიერებული და სიმკვიდრეც კი აღნიშნულია დედობით, ამაზე მეტი პატივი რაღა უნდა მოუტანოს სახელმა! სიტყვა ქალი განა იმოდენს გვეტყვის რასაც გვეუბნება "დედა" და ამასთან ერთად "კაცი".
- ყოველგვარი სიყვარული – დედაშვილურია, თუ სხვაა, – მაინც ფრთხილია და მშიშარა.
- დედავ! ისმინე ქართვლის ვედრება!
  ისე აღზარდე შენ შვილის სული,
  რომ წინ უძღოდეს ჭეშმარიტება,
  უკან ჰრჩეს კვალი განათლებული.
- დედათა ჩვილი გული მამულისთვის მაგრდება.

ილია ჭავჭავაძე

- ქალი მამას ქმარში გაცვლის,
  ცოლი ქვრივი სხვას გაჰყვება;
  მაგრამ დედას შვილის ტრფობა
  სამარეში თან ჩაჰყვება.

აკაკი წერეთელი

- დედის მეტს ჩემი სიკვდილი, არავის აატირებსა.
  სულ ყველას დავავიწყდები, ყველას სხვა დაათირებსა,
  მე დედის გულში ვიქნები, ძილსაც ვერ დაიძინებსა.

- დედას ვუყვარვართ შვილები, დედა არ გვახსოვს შვილებსა,
  ამითა გვტანჯავს სოფელი, სულ მუდამ გვაცოდვილებსა.

- ვინა სთქვა: "წილი არ უძე" – სულ დედა არ გვზრდის შვილებსა!?

- ზოგი ქალია წმინდანი, ზოგი ქალია დავარი,
  შვილის გაჩენას რა უნდა – შვილის გაზრდაა მთავარი.

- თვალთა ტკივილი თაფლია, შვილთა დალევა შაქარი;
  დედის სიკვდილი კერაი – ასაზიდებლად მაგარი.

- ცხენკარგის დედას დავნატრი – ლაშქარს წინასწარ წადგება!
  მერე თოფკარგის დედასა – ერთის ნასროლით დარჩება,
  მემრე ცოლკარგის დედასა – ქმრის სწორთ ლამაზად დახვდება.

- ცუდად გაზრდილი შვილი დედის სირცხვილია, მამის წუხილი.

ხალხური

- დედის ხელები ალერსიანობის განსახიერებაა.
  ბავშვებს ტკბილად სძინავთ ამ ხელებზე.

- ქალი სუტია, მაგრამ დედაა ძლიერი.

ვიქტორ ჰიუგო

სიტყვა დაზე

დაო, შენი თვალები
ჩემთვის ავგაროზია.

ტერენტი გრანელი

- ქალმა რომ გითხრას და-ძმობა, ნამდვილად შენი და არი,
  თუ არ იწამებ ამასა, ან დედის ნაშობ რა არი?

გიგაური (სახალხო მთქმელი)

- ამქვეყნად უწმინდესი სიყვარული შეიძლება არსებობდეს მხოლოდ დებს შორის.

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

- სიკვდილსა გლოვა უხდება, მკვდარ ძმას – ტირილი დისაო.

ვაჟა-ფშაველა

- დაო სასურველ! ამა სოფელს შენ დამშთი მხოლოდ,
  და განმასვენე კვეთებათაგან ბოროტ მხვედრისა!

გრიგოლ ორბელიანი

- ... ვინცა კაცმან დაცა იდოს,
  ხამს თუ მისთვის სიკვდილსა და ჭირსა თავი არ დარიდოს.

შოთა რუსთაველი

- და დის სახლში მივიდა, თავი თავის სახლში ეგონაო.
- და მოკვდა ძმისთვინაო და არა ძმა – დისთვინაო.
- სადაც და ძმის სიკვდილს გაიგებს, იმ ალაგას ბალახი არ ამოვაო.
- ვაჰ, დედასა და ვაჰ დასა, ვაი უძმოსა ქალსაო,
  ისე აღარ სძევს პატივი, როგორც შარასა – გზასაო.

- დაო, ყველაზე ძვირფასო, არაზე დაჰფასდებია!..
  ისევ მე მომკლას, ოღონდაც შენა ნუ მამიკვდებია,
  ჩემთვის რომ ცეცხლში ჩაგაგდონ, უკან არ მაბრუნდებია,
  ხალხში რომ გნახავ, მალაღებ, შენს მხრებსაც ვენაცვალებია,
  ღმერთმა უშენოდ სიცოცხლე, ნუ მამცას ნურც ერთ დღეშია.

ქართული ანდაზა

- ოჯახისადმი სიყვარული და მოწიწება უწმინდესი სახით გამოვლინდება მხოლოდ ქალში. ყველაზე წმინდად კი – დაში, რამეთუ მხოლოდ დას ძალუძს უყვა-რდეს ძმა სუფთა, უვნებო სიყვარულით.

ჰერმან ჰინრიქსი

სიტყვა ბებიაზე

- *ბებიას გამომცხვარი კვერი ტკბილიაო.*

ქართული ანდაზა

- ბებია, შენთან ყველაზე წმინდა,
  ჩემი ბავშვობის წლები მეგულვის.

იოსებ ნონეშვილი

სიტყვა ცოლზე

- აულთან დავა გერჩიოს საკუთარ ცოლთან დავასა.
- ქმარი უჟამოდ ბერდება კაპასი ცოლის ხელშიო.

ადიღეური ანდაზა

- ქმარი თავია, ხოლო ცოლი კისერი, რომელიც ამ თავს აბრუნებს.

აზერბაიჯანული სიბრძნე

- მონტენს რომაული სიყვარულის უმაღლეს გამოხატულებად კონსულ პეტის მეუღლის – არიას სიტყვები მიაჩნია: "პეტ, ნონ დოლეტ". გადმოცემის თანახმად, ამ კაცს უძნელდებოდა თავის მოკვლა (რაც მას იმპერატორმა მიუსაჯა); და, აი, საყვარელი მამაკაცისათვის ნაბიჯის გასაადვილებლად ქალმა მას ქარქაშიდან ამოგლიჯა მახვილი, მის თვალწინვე დაიცა მკერდში და ვიდრე სულს განუტევებდა ასეთი სიტყვებით მიმართა ქმარს:
"პეტ, ეს სრულებით არ არის მტკივნეული".

გურამ ასათიანი

- ცოლქმრული ცხოვრება ასულდგმულებს კაცთა მოდგმას, მეგობრობა მას აკეთილშობილებს, ავხორცობა შხამავს და ამდაბლებს.

ფრენსის ბეკონი

- ეჭვიანობა ქმარს სასაცილოდ ხდის, ასულელებს და ცოლის სიყვარულსა და პატივისცემას უმცირებს. ცოლს კი ეჭვიანობა უფრო თავაზიანად ჰქმნის, გონებამა-ხვილობასა და მგრძნობიარობას უმატებს.

ლუდვიგ ბერნე

- ასული ბრძენი დაიმკვიდრებს ქმარსა თვისასა და ურცხვინო – მწუხარებას მამისა.
- უმჯობეს არს ცხოვრება ლომთა თანა და ვეშაპთა, ვიდრე ცხოვრება დედაკაცისა ბოროტისა თანა.
- უმჯობეს არის ცხოვრება ქვეყანასა შინა უდაბურსა, ვიდრე ცხოვრება დედა-კაცისა მოლალისა, ენოვანისა და მრისხანისა.

ბიბლია

- ცოლი, რომლისთვისაც უცხოა ქმრის ინტერესები, არ თანაუგრძნობს და არ აკეთებს მისთვის არაფერს – საყვარელია, დიასახლისია, ძიძაა და რაც გინდათ, ოღონდ არა ცოლი, ამ სიტყვის სრული და კეთილშობილური გაგებით.

ალექსანდრე გერცენი

- თუ ცოლს მიეცა ქმარზე უფლება, ქმარი ლიაში უკუეფლობა.
  გაისვრება ლაფით, მის ჭუჭყს საპნის ქაფით ვეღარავინ გარეცხს.

- ლამაზი ცოლის პატრონი კაცი არს ფიქრისაგან შორს წარნატაცი.

დავით გურამიშვილი

- აუცილებლად დაქორწინდი. თუ კარგი ცოლი შეგხვდა – გამონაკლისი იქნები, თუ ცუდი – ფილოსოფოსი მაინც გახდები.

ევრიპიდე

- ქალი როცა ქმართან არის, გათხოვილია, უნდა მორჩილი იყოს ქმრისა, მისი ერთგული და მოყვარული. დედ-მამასაც კი უნდა ერჩიოს ქმარი.

ვაჟა-ფშაველა

- კარგი ქალი თავის ქმრისთვის სიკვდილს თავსა არ არიდებს,
  ავნი მათსა სიკვდილზედა გაიხევენ არა რიდეს.

ვახტანგ VI

- კარგი ცოლი ფასდაუდებელი საჩუქარია ქმრისთვის, ცუდი – მისი წყლულია.

თალმუდი

- მთელ საბერძნეთზე მე ვბატონობ, ჩემზე – ჩემი ცოლი, ჩემს ცოლზე კი – ჩემი უქნარა შვილი.

თემისტოკლე

- ყველაფერთან გახდები რაღაცას ავად თუ კარგად, პატიოსნად თუ უპატიოსნოდ, ვაჟკაცობით თუ გაიძვერობით, მაგრამ ცოლთან – ვერაფერს.
- ნაღალატევი რომ გყავს ცოლი და გაცვლილი, მაშინ უნდა იყო უფრო აქტიური და მოსიყვარულე, თორემ მარხული კაცისთვის ცოლიც მზეთუნახავია.

- არ დაიღუპო თავი, ღალატი არ შეგამჩნიოს, თორემ ქალი, შენ რომ ცოლადა გყავს, ისეთი კი არა, მამა აბრამის ბატკანი რომ იყოს, მოსისხლე მტრად გაგიხდება და მოსისხლე მტერი სახლში და ლოგინში კი არა, ცხრა მთას იქით დაგიფაროს ღმერთმა.

- თუ ქმარს შურისგებით ორგულობ, იგი მრუში ცოლის ქმარია, მაგრამ შენ – მრუში. იგი ცოლს ჰკარგავს, შენ – ყველაფერს.

- ჭკვიანი ცოლი ქმრის ორგულობას კი არა, გვერდზე თვალის გაპარებას მაშინვე ხედავს.

ოტია იოსელიანი

- კარგი ქორწინება უსასრულო ნეფე-პატარძლობაა.

თ. კიორნერი

- კარგ საქმეზე მიმავალი მამაკაცი ყოველთვის წარმატებას აღწევს, თუ მას საყვარელი ცოლი კოცნით აცილებს.

- ბედნიერია ვისაც ცოლი უყვარს, როგორც საყვარელი და უბედურია, ვინც საყვარელს უფლებას აძლევს უყვარდეს ის, როგორც ქმარი.

ვასილ კლიუჩევსკი

- ყველას კარგად მოეხსენება, რომ საკუთარ ცოლზე ლაპარაკი არ შეშვენის კაცს, მაგრამ ყველას როდი მოეხსენება, რომ საკუთარ თავზე ლაპარაკი უფრო ნაკლებ შეშვენის.

ფრანსუა დე ლაროშფუკო

- განა მიყვარხარ ახლა ნაკლებად ჩემი ოჯახის პატარა ია;
  მაგრამ გული კი მეთანაღრება – შეყვარებული რომ აღარ მქვია.

შოთა ნიშნიანიძე

- კარგ ცოლქმრობაში ქმარი თავია და ცოლი – გული, თავისთვის საჭირო.

ფრიდრიხ რუკერტი

- ცოლი მენახშირისა უფრო პატივსაცემია, ვიდრე ხასა თავადისა.

ჟან-ჟაკ რუსო

- ცოლის თხოვაში ნუ აჩქარდები, თორემ დიდ ჭირში გადავარდები.

რუსული ანდაზა

- კეთილგონიერო მანდილოსანო! თუ გინდა შენმა ქმარმა მთელი დრო შენთან გაატაროს, იზრუნე, რომ სხვაგან ვერსად ნახოს მეტი სინაზე და სიამე.

პითაგორე სამოსელი

- ისეთ ქალს ნუ შეიყვარებ ვისი ცოლად შერთვა შეგრცხვება.
- თუ გსურს მოიქცე ბრძნულად, მოუსმინე ცოლს და გააკეთე საწინააღმდეგო.

სტენდალი

- სადილის მიზანი სხეულის საზრდოობაა, ცოლ-ქმრობის მიზანი კი – ოჯახი.

ლევ ტოლსტოი

- ვინც მეტად გვიან შეირთავს ცოლს, ის უფრო ადრე დააობლებს თავის შვილებს.

ქაბუსი

- ქალი აშენებულ ოჯახს დაანგრევს და დანგრეულს ააშენებსო.
- ცოლ-ქმრის ჩხუბი რეგვენს მართალი ეგონაო.
- ბედნიერს ცოლი მოუკვდება, უბედურს ცხენიო.
- დედაკაცს სანამ ქმარი ჰყავს – ამირანია, რომ მოუკვდება – ამირანთ-ამირანი.
- დედაკაცს ქმარი სიკვდილის შემდეგ მოეწონებაო.
- არ შაანანება ვაჟკაცსა, ცოლს გაუგონოს ჭკვიანსაო.
- კარგი ცოლის პატრონის სახლში მუდამ ქორწილიაო.
- კარგმა ქალმა ქმარს ამოღებული მახვილი ჩააგებინა, ცუდმა – ჩაშვებული ამოაღებინა.
- კაცს ცოლი სხვისი ურჩევნია, შვილი კი – თავისაო.
- მენახირის ცოლი უფრო პატივსაცემია, ვიდრე მეფის ხასა.
- მოყვანილი ქალის ამბავს სამას წელიწადს ნუ იკითხავო.
- ქალის გაბედნიერებული კაცი ღმერთმა ვერ გააუბედურა და ქალის გაუბედურებული ღმერთმა ვერ გააბედნიერაო.

- ჩემი ქალის ღალატი პირველად მე გამაგონოს ღმერთმაო.
- ცოლი მყავდა მასხარაო, მე მრცხვენოდა, მას – არაო.
- ცოლი თუ ქმარს არა ჰგავს ნათხოვარი იქნებაო.
- ცოლს თავისი ქმარი ლომი ეგონაო.
- ცოლ-ქმრის ამბავი მხოლოდ ლოგინმა უნდა იცოდესო.
- ყველა საქმე ქვეყანაზე რიგდება, ცოლქმრობისა – ზეცაშიო.
- მოყვარული ცოლ-ქმარი თოხის ტარზე ეტეოდაო.
- კარგ ცოლთან მწუხარება ნახევრდება, სიხარული ორკეცდებაო.

ქართული ანდაზა

- დროთა განმავლობაში ქალს დედობრივი ზრუნვა გადააქვს მეუღლეზე, მამაკაცი კი ქალს უცქერის როგორც მისი შვილების დედას, როგორც მეგობარს... და ასე სიყვარული იცვლის სახეს, ხასიათს.

მიხეილ ქვლივიძე

- ქორწინება ესაა კავშირი კაცთან, რომელიც ვერ იძინებს დახურულ ფანჯარასთან, და ქორწინება ქალთან, რომელსაც არ შეუძლია დაიძინოს ღია ფანჯარასთან.

ბერნარდ შოუ

- მაინც საღებავს დავეძებ თითქოს, ცოლს გააღვიძებს შრიალი ფურცლის,
  მას გადვუკითხავ საეჭვო სტრიქონს, რომელიც პირველ კურთხევას უცდის.

სიმონ ჩიქოვანი

- მითხარით ლამაზ ცოლისთვის მაინც რა არის ქმარიო?
  ადვილად გამოსაცვლელი ვერცხლისა რამ ქამარიო.

აკაკი წერეთელი

- ისე არის კაცის გული, ვით მორევი შავი ზღვისა:
  რაგინდ კარგი ცოლი ჰყავდეს, მაინც მოუნდება სხვისა.
- კარგისა ქმრისა ცოლობა, ნუ გიხარია ქალაო,
  კარგი ყმა ლაშქარს მოკვდება, დარჩები ცარიალაო.
- ცოლი ვწურთნე, ვერ გავწურთნე, თავში უწურთნი ყოფილაო.
- ცოლიც ძალიან მიტირებს, ქვეყანას აატირებსა,
  ცოტა ხნის შემდეგ ისიცა სხვისა ჭირს გაალხინებსა.
- ღმერთო ნუ შეჰყრი ვაჟკაცსა, ცოლსა უქნარს და მძინარსა,
  ის მოჰკლავს, ის დააბერებს, ის შერთავს წყალსა მდინარსა.

- ვა, ცუდის ცხენის ყოლასა, უი, სულ უცხენობასა,
  ვა, ცუდის ცოლის ყოლასა, უი, სულ უცოლობასა.
- პავლემ თქვა ჩიტუაშვილმა: “ერთ სიტყვა მმართებს ვალია,
  კაცი ლოთი და ცოლბოზი, სულ მუდამ შესაბრალია”.
- ლაშქარს წასვლა მას უხარის, ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო,
  დაბრუნება და შინ მისვლა, ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო.
- – მე ისეთ კარგი ცოლი მყავს, კელაპტარივით
  მეწყობა,– ი, შენი ცოლის სიკეთე, ე, მაგ შენს ჩოხას ეტყობა.
- ატირდა კაი ყმის ცოლი: “აღარ მამივა შინაო”.
  იცინის ცუდაის ცოლი: “გამაიქცევა წინაო”.
  გამაქცეულის მოსვლასა, არ მოსვლაი სჯობს შინაო.

- ცოლზე ერთი რამ ითქმება და სულ ესაა რაც არი –
  თუ აამაღლებ მთვარეა, თუ დაამდაბლებ – ნაცარი.

- საცოლეს რომ ირჩევდე, მოხუცის თვალით ასწონდასწონეო.

ხალხური

სიტყვა პატარძალზე

- პირველი თოვლი მე მაგონებს პირველ სიყვარულს და პირველ ღამეს

როცა მე ხარბად დავეწაფე მშვენებას ქალურს - ახალ სიამეს.

ვალერიან გაფრინდაშვილი

- პატარძალი ეზოს ვერ გვიდა და ცოცხს აბრალებდაო.

პატარძალი უარს იყო - ღორის ხორცს არა ვჭამო, რომ გაათავეს - წვენი მაინც გეჭმიათო.

- პატარძალმა დაფქვას მოუცადა, გამოცხობას - არაო.
- პატარძალმა ძროხა ვერ მოწველა და ბაკი მრუდეაო.
- ბებერსა სასძლოდ მორთულსა, უფრთხილდი, მოერიდეო.

ქართული ანდაზა

- ავი პატარძლის ყოლასა, სახადი სჯობს სახლშიო.
- ასრე უნდა პატარძალი, ირხეოდეს ვერხვივითა,

მამამთილსა ემსახუროს, დედამთილსა - ღმერთივითა.

მაზლი, მულებს მოეგრაგნოს, შვილებს მიჰყვეს ღვედივითა,

იმას ასრე შეინახავენ, უგუნური ტრედივითა.

- ნეტა რა ვქნა, როგორ რა ვქნა, ავი პატარძალი ხარო,
  არა ვჭამ და უჭმელი ხარ, ვჭამ და ასრე სვავი ხარო!
  ნელა დავალ – ზანტს მიძახის, გავიქცევი – ქაჯი ხარო!
  ძირს დავჯდები – კუტს მეძახის, ზეზე ვდგევარ – სარი ხარო!
  ვაი, შენსა გამომცემსა, მამაძაღლის ქალი ხარო.

ხალხური

- მე გიწოდე შენ საცოლე, შენ კი დუმდი, მდგარი მორცხვად,
  და სევდიან თვალებიდან ორი თბილი ცრემლი მოგწყდა.

რამონ ხიმენესი

სიტყვა ქვრივზე

ქალები მამაკაცზე მეტხანს ცხოვრობენ,
განსაკუთრებით - ქვრივები

ჟორჟ კლემანსო

- შინმოუსვლელის ცოლი იმედის ცრემლთან ათენებს, მკვდარს დავიწყება ემუქრება, ქვრივი სხვისია, სხვის ლოგინს ახარებს.

ოტია იოსელიანი

- როდესაც ქალი თავის შეყვარებულს სტირის, ეს უმეტესწილად იმას როდი ნიშნავს, რომ მას უყვარს იგი, არამედ იმას, რომ თავი სიყვარულის ღირსად მოგვაჩვენოს.

ფრანსუა დე ლაროშფუკო

- ფანჯრებში მთვარე შემოპარულა,
  ქალს არ დახსნია დარდი ორგული;
  – ისევ ქმარს სტირი? – ვკითხე ფარულად,
  – სიყვარულს ვტირი, – ამბობს ჩონგური.

ილო მოსაშვილი

- ლამაზი ქვრივი ცრემლებსა
  დამშვენებისთვის დაღვრისო,
  და რომ შენიშნავს ლამაზ ვაჟს,
  კეკლუცად თავს ძირს დახრისო.
- ჭკვიან ქალს ვერ შეაშინებს,
  ქვრივობა, ქმრის სიკვდილიო,
  შავს იცვამს, მაგრამ იმედი
  გულში უჩნდება ტკბილიო.

აკაკი წერეთელი

სიტყვა ქალის ასაკზე

არაფერი ისე არ აბერებს ქალს, როგორც მდიდრულად ჩაცმა.

კოკო შანელი

ყველა ქალი ლამაზი როდი იბადება, მაგრამ თუ 30 წლის
ასაკში ლამაზ ქალად არ იქცევა, ის უბრალოდ ბრიყვია.

კოკო შანელი

- საყვარელი ქალი არ ბერდება.

მაქსიმ გორკი

- ქალები მეტნაკლებად მიმზიდველნი არიან 30-დან 45-მდე. თუმცაღა ზოგნი გადააბიჯებენ რა 45-ს, მათი მიმზიდველობის ასაკი შეიძლება გაგრძელდეს მუდმივად.

კრისტიან დიორი

- ვინა სთქვა ტრფობა ბერდება
  და სატრფიალო საგანი?

ვაჟა-ფშაველა

- ბუნების მშვენება – ქალი, სიბერისა და წარმავლობისათვის არ მემეტება.

ოტია იოსელიანი

- ყმაწვილქალობამ წაიღო
  მზეები
  ოქრომფინარი,
  ნეტა კი ვინმე მომგონდეს,
  რომ უმისობა ვინანო.

ანა კალანდაძე

- გაახალგაზრდავება ქალების დაბერების საშუალებაა.

ლეო კამპიონი

- ძალიან ლამაზი ქალები სიბერისას ძალიან ბრიყვები არიან, მხოლოდ იმიტომ, რომ ახალგაზრდობაში ძალიან ლამაზები იყვნენ.

ვასილ კლიუჩევსკი

- სტატისტიკის მიხედვით ქალები მამაკაცებზე მეტს ცოცხლობენ. ეს იმიტომ, რომ მათ ძალიან დიდი დრო სჭირდებათ, სანამ 30-ს მიაღწევდნენ.

ბინგ კროსბი

- ამ ქალს უკვე ეწყინა, ტრამვაიში ადგილი რომ დაუთმეს.

ემილ კროტკი

- როცა ქალს 30 უსრულდება, პირველი რასაც ივიწყებს, ეს მისი ასაკია; 40-ის შემდეგ კი ამას საერთოდ შლის საკუთარი მეხსიერებიდან.

ნინონ დე ლანკლო

- მე არ მაღელვებს ის, რომ ბაბუა ვარ; ცუდი მხოლოდ ისაა, რომ ბებიის ქმრად ვითვლები.

გრაუჩო მარქსი

- დედაკაცი ისე ვერაფერს დამალავს, როგორც ასაკს.

დევიდ პოგი

- ყველა ნორმალური ქალის ბიოგრაფია 30 წლამდე ქრონოლოგიაა, 30-ის შემდეგ – მითოლოგია.

- არაფერი ისე არ აბერებს ქალს, როგორც ასაკი.

- დროის სრბოლა მამაკაცს ასაკს ჰმატებს, ქალს კი სინორჩისგან აშორებს.

- შესანიშნავია, თუ ქალი ახალგაზრდაა, ვაი თუ ახალგაზრდულად გამოიყურება.

- ქალისთვის 15 წელი ბავშვობის დასასრულია, 18 – ქალიშვილობის, 40 წელი – უბრალოდ დასასრული.

სხვადასხვა ავტორები

- ქალისთვის 18 წლამდე აუცილებელია კარგი მშობლები, 19-დან 35-მდე – კარგი გარეგნობა, 35-55-მდე – კარგი ხასიათი, შემდგომ – კარგი ფული.

სოფი ტაკერი

- ეს ქალი სულ ოცდაათისაა, მას შემდეგ, რაც 45 წელი შეუსრულდა.

ოსკარ უაილდი

- რა სამწუხაროც არ უნდა იყოს, 10-15 წლის შემდეგ ყველაზე ლამაზი ქალებიც კი 5 წლით ბერდებიან.

- 30 წელი საუკეთესო ასაკია 40 წლის ქალისათვის.

- საშუალო ხნის ქალმა თუ ქალიშვილობის ფიგურა შეინარჩუნა, ჩანს იგი მიმზიდველი ყოფილა ახალგაზრდობაში.

- არასდროს არ გრძნობს ქალი თავს ისე მობერებულად, როცა ხვდება მელოტ თანასკოლელს, რომელიც მასზე ორი წლით უკან სწავლობდა.

- თუ გსურთ ცოლი განკურნოთ ნევროზისაგან, ჩააწვეთეთ ყურში, რომ ეს სიბერის ნიშანია.

- ქალისათვის ყელი დაბერების მოწმობაა.

- ვერცერთი ქალი ამერიკის პრეზიდენტი ვერ გახდება – რომელი მათგანი იტყვის ოცდაათისა ვარო.

უცნობი ავტორები

- ყველაზე უსიხარულოა იმ ქალების ხნიერება, რომელთა ღირსება მხოლოდ სილამაზეა.

ბერნარდ ფონტენელი

- შესანიშნავი რამ არის იყო ოცდაათისა: "თუმცა ქალებს მეტი არჩევანი აქვთ: ახალგაზრდები უფრო ახალგაზრდულად გამოიყურებიან, ხნიერები – არც ისე ხნიერად.

გლენ ფრაი

- მან გულწრფელად თქვა, რომ ორმოცდაორისაა. შეიძლება ამითი გაახარა ანგელოსები ცაში, მაგრამ არა უფროსი და.

მონრო ხიუ

- "გოგოებო", ეს ურთიერთმიმართვაა იმ ქალებისა, რომლებმაც 40-ს გადააბიჯეს.

ჩარლზ ჯონსი

უცხოური სიტყვა ქართველ ქალებზე

საქართველო ლამაზმანების ორანჯერეა გახლავთ

იმანუელ კანტი

- თამარი იყო მატრიარქი, ბრძენი და პურიტანი მმართველი, ფრთხილი და გონიერი დიპლომატი, ურყევი მებრძოლი, ღვთისმოსავი, გულმოწყალე და შემწყნარებელი ხელმწიფე.

უილიამ ალენი

- ქეთევან დედოფალი სამსხვერპლოზე მცირე მარიამ სტიუარტი იყო. იგი დაიტანჯა ისეთის მრავალგვარი წამებით, რომელთაგან თითოეული ბევრ მორწმუნეს დიდებით შემოსავდა.

დუშ ანჟუში

- ირანელების სისხლი ძლიერ გაკეთილშობილდა მათი ხშირი ქორწინებით ქართველებთან და ჩერქეზებთან. რომ არა ესენი, ისინი მეტად უმსგავსონი იქნებოდნენ.

ჩარლზ დარვინი

- აქ ქალს ხშირად უსიტყვოდ ემორჩილებიან. საკმარისია ქალმა მანდილი ჩააგდოს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებმულთა შორის, რომ ორთაბრძოლა მყისვე წყდება – თითქოს ზეციური შუამავალი ჩაერია.

ბარონი დე-ბაი

- პარსეთში არ მოიპოვება არცერთი დიდკაცი, რომელსაც არ ჰსურდეს, რომ ყველა მისი ქალი ქართველი იყოს, იმიტომ რომ ისინი ძალიან მშვენივრები არიან.

პიეტრო დელავალე

- ქართველი ქალი არის ოჯახის ბურჯი, ქვეყნის დამცველი და სწავლა განათლების მიმდევარი. ქართველი ქალი არა მარტო ომობს მამაკაცთან ერთად, არამედ ოჯახში დიდ როლს ასრულებს.
- საქართველოში ყველაფერი კარგია, მაგრამ ქართველ ქალებზე უმშვენიერესი მე არაფერი მინახავს. მე მათი შემყურე, უნებლიეთ განცვიფრებაში მოვდიოდი. ამ ქვეყანას კაცმა შეიძლება უწოდოს სავანე. აქ ძვირად შეგიძლიათ ნახოთ ულამაზო და შეუხედავი დედაკაცი. თითქმის ყოველ ნაბიჯზე გვხვდებიან ლამაზმანები.

იოსებ დელაპორტი

- შეხედვისთანავე გაოცებთ მისი წმინდა ბერძნული პროფილი, უკეთ რომ ვთქვათ – ქართული პროფილი, რაიცა გულისხმობს ბერძნულ სიწმინდეს, თუ მათ სიცოცხლე მიუმატეთ. საბერძნეთი არის გალათეა, ოღონდ მარმარილოსი, საქართველო კი სულჩადგმული და ქალად ქცეული გალათეაა.

- ის უნდა ყოფილიყო თბილისის ულამაზესი ქალი. პუდრი რომელსაც ახლა, ალბათ, სიკოხტავის მიზნით ისვამს, მის სახეს მეთვრამეტე საუკუნის ხასიათს აძლევს. ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს სხვა წარჩინებული მანდილოსანი, რომელსაც ესოდენ მდიდრული გარეგნობა ჰქონოდეს. თუ თქვენ თავად ორბელიანის მეუღლეს ქუჩაში პირისპირ შეხვდებით, როცა ის ფეხით მიდის, უნებურად უნდა მოიხადოთ ქუდი, თუნდაც არ იცნობდეთ მას. უსათუოდ მოწიწებით თავს დაუკრავთ, ისეთის პატივისცემით იმსჭვალებით მისადმი.

(ალექსანდრე ჭავჭავაძის მეუღლის – ანას შესახებ)

***ალექსანდრე დიუმა** (მამა)*

- კოლხეთის გმირნი, ყმაწვილნი ქალნი –
  ომში მამაცნი და უშიშარნი.

ესქილე

- დაჰყრიათ წელზე თმის ნაწნავები,
  ბოლოს რგოლებით შეგრეხილები!
  შესადარს თვალ-წარბს, ბაგეებს, კბილებს,
  მოგზაურები ვერსად ჰგულობენ.

ვაგიფი

- ვაქებ გულით, სიხარულით
  პატიოსან თბილის ქალაქს,
  აღტაცებით, სიყვარულით
  გურჯისტანის ლამაზ ქალებს.

***ნაღაშ იონათანი** (სომეხი აშუღი)*

- ყველა ევროპელი, რომელიც საქართველოში მოხვედრილა, ერთხმად აღიარებს ქართველი ქალიშვილების სრულიად გამორჩეულ მშვენიერებას.

იმანუელ კანტი

- მე რამდენიმე ქართველი ქალი შემხვდა, რომლებშიც შეერთებული იყო სილამაზეც და გრაციაც. ეს მნათობნი ბრწყინავდნენ ჩრდილოეთის ქალთა შორის, როგორც ვარსკვლავნი სამხრეთის ბნელ ცაზე.

მარკიზ კიუსტენი

- საქართველოში ყველაფერი კარგია, მაგრამ ქართველ ქალებზე უმშვენიერესი მე არაფერი მინახავს და ეს სრულიად არ არის გადაჭარბებული.

არქანჯელო ლამბერტი

- სპარსნი იყვნენ ულამაზონი, მაგრამ უკანასკნელს დროს გალამაზდნენ, ამისი მიზეზი კი ისაა, რომ მათს სახლებში ნახავთ საქართველოდან მოტაცებულ ქალებს.

დიუბუა დე მონპერე

- კოლხიდაში დედაკაცები არიან მამაცნი, უფლების მოყვარულნი, ძლიერნი და მებრძოლნი.

პტოლემეოსი
(ალექსანდრე მაკედონელის მხედართმთავარი)

- ქართველ ქალზე მშვენიერი არაფერია სამყაროში.

ყურბან საიდი

- არ შეიძლება დახატოთ ქართველი ქალის სახესა და ტანადობაზე უმშვენიერესი სახე და ტანადობა.
- ქართველების ტომი უმშვენიერესია აღმოსავლეთში და შემიძლია ვთქვა – მთელს მსოფლიოში. ქალების უმეტესი ნაწილი ბუნებას ისეთის სიკეკლუცით დაუჯილდოებია, რომ მათ მსგავსთ ვერსად შეხვდებით. მათ დიდად მოსიყვარულე გული აქვთ.

ჟან შარდენი

- ამ სახენათელი, ხუჭუჭთმიანი ქალისთვის აფხაზეთის მცხოვრები გავხდი და ქართულად დავიწყე საუბარი.

ხაკანი (აზერბაიჯანელი პოეტი)

სიტყვა მეძავზე

ქალწული ბეატრიჩე და მეძავი მანონ ლესკო ტრფობის საუფლოში გვერდიგვერდ სხედან.

გურამ ასათიანი

- კოცონზე დაწვის ღირსია ქალი, ვინც თავის უბიწოებას ფულზე გაცვლის, ხოლო ვინც სიყვარულის გამო მოიქცევა ასე, ასეთი ქალი ღირსია შენდობისა, არც ისე ულმობელი მოსამართლის თვალში.

ჯოვანი ბოკაჩო

- ბოზი ლამაზი ბევრ კაცსა აცდენს;
  როგორც რომ უნდა, ისრე მოახდენს,
  მოსთხრის კაცს, წაახდენს, მცნებას გარდაახდენს,
  მოჰკლავს და წარწყმედს.

- უწმინდურ ქალთა,
  ოქროქსოვილი დაჰფარავს ვერა.

- რომელი ქალიც ქმარს სხვაზე გაცვლის...
  საუნჯისაგან თავის სახლს დაცლის.

- ნუ გსურს ლამაზი, პირ-სირინოზი
  არას გაამებს – თუ არის ბოზი.

დავით გურამიშვილი

- ქალი რომელიც ბიჭებს დასდევს, დასანდობია?
  სახრჩობელაზე დაკიდული ვაჟი სჯობია.

ესპანური ანდაზა

- კახპა კახპური ქცევით იცნობა,
  ვის მოქცევია იგი, სხვაგვარად?

ფრანსუა ვიიონი

- ანამ ქალი პატიოსანია, ხმას უბატონოდ არავინ სცემს, როგორც კი ხელიდან წავა მერე...

ოტია იოსელიანი

- მსუბუქი ყოფაქცევა – აი ყველაზე უმნიშვნელო ნაკლი იმ ქალებისა, რომლებიც ცნობილნი არიან მსუბუქი ყოფაქცევით.

ფრანსუა დე ლაროშფუკო

- ცოლი სჯობავ თუ წაწალი, ჯაბანო, შენა გკითხაო!
  ჩემ ყროლა ცოლა მირჩენავ, წაწალ ფეხებზე მკიდაო:
  წაწალ ბევრ ხვეწნა უნდარის, ცოლს კი არასა ვკითხაო.
- ვერდით დამიწვა ნადობი,
  შარცხვეს იმის დამდობი.

პ. მარტიაშვილი (სახალხო მთქმელი)

- საერთო ზნე სჭირთ კახპასა და მეაბანოვეს:
  ორნივ ერთ ვარცლზე აშიშვლებენ გონჯსა და ტანადს.

პრაქსილა

- უზნეო ქალი ბოთლში ჩაკეტეს – იქაც ის თავის საქმეს აკეთებს.

სპარსული ანდაზა

- ქალის დაბრუნებისგან თავის არიდება მეძავის აღიარებული თვისებაა.

უცნობი ავტორი

- ნაბოზარ დედამთილს რძალი არ გაუბოზდებაო.

ქართული ანდაზა

- ქალი რომ ერთს უკანონოდ გაჰყვება, ის სხვებსაც არ უარყოფს.

აკაკი წერეთელი

- ქალი არ ვარგა ქურდ-ბოზვი,
  ვაჟი – სოფელ-კარ მჭეხარი.

- თივა მთიბლების ნათიბი, ირმების ნაგელარია,
  ნუ გინდა ქალი ლამაზი, ბევრის ყმის ნახელარია.

- მარიამ, ჩემო დობილო, თეთრო, მაისის წვიმაო,
  ბევრ ქალი შესვა ვირზედა ფერად-ფერადის მძივმაო,
  ვაჟებთან ლოგინობამა, სამაიამ და ლხინმაო.

- თავით მიზის ბოზი ცოლი, ელის სულის ამოსვლასა,
  კარზე მიდგას ცოლის კურო, ელის სახლში შემოსვლასა.

ხალხური

- შენს გვერდით თუა ქალი –
  მეფობს სიმშვიდე მთვრალი!..
  ვაი იმისი ბრალი,
  ვისაც უგანებს ქალი, –
  გადაირევა უმალ:
  შუქი, მუსიკა, ქარი.

რამონ ხიმენესი

- ფერმანელი ქალები საშიშნი არიან თავიანთი დღიურებით, რომლებიც შეიძლება იპოვონ ქმრებმა.
- თუ გაგიბედა ქალმა ღალატი
  სხვა შეიყვარა, რა გინდა მეტი?
  სჯობს რომ აიკრა გუდა-ნაბადი
  და ხეტიალში ეძებო ბედი.

ჰაინრიხ ჰაინე

- ომი თუ ვინმეს უყვარს მხოლოდ ვაჭრებს,
  გენერლებს, შტაბის მუშაკებსა და მეძავებს. ომის დროს, მოგეცა ლხენა – ეგენი ცხოვრობენ.

ერნესტ ჰემინგუეი

- ოცი წელი სიყვარულის მსახური ქალებისათვის უკვე სიბერეა.

- ფულის სიცარიელის შესავსებად სიყვარულის მსახურ, უწესო ქალებს ან სიყვარული სჭირდებათ, ან ბავშვი, თორემ უიმისოდ ისინი მეტისმეტად უბედურნი არიან.

ვიქტორ ჰიუგო

სიტყვა დედაბერზე

ღმერთმა ნუ ქნას –
ბებრის ბუქნა.

ქართული ანდაზა

- ასი წლის დედაბერი ლეკურს სწავლობდაო.
- დედაბერი ბუქნას უვლიდა – არც მთა ემადლიერებოდა და არც ბარიო.
- დედაბერმა უღელი გადააგდო და კურდღელი მოკლაო.
- დედაბერმა თქვა – სასახლეში მომეწყინაო.
- ხიცი-ხიცით დედაბერი დაორსულდაო.
- დედაბერმა იანვარში მარწყვი მოისაკლისაო.
- დედაბერს ყველა უყვარდა, დედაბერი ყველას სძულდაო...
- დედაბერს შვიდი სოფლის დარდი აწუხებდა, მისი დარდი კი არავის ჰქონდაო.
- დედაბერმა თქვა – იმდენი ვერ მოვიცალე, რომ მოვმკვდარიყავიო.
- ჯრუსუნა დედაბერმა ქვეყანა ამოჭამაო.

ქართული ანდაზა

ქალის სიტყვა ქალსა
და
საკუთარ თავზე

უმწიკვლო გული და ყოფაქცევა უმთავრესი
დიდებაა დედაკაცისა.

მადამ მენტონი

- ქალმა თქვა – მე მირჩევნია ჩემი სატრფო საფლავში იწვეს, ვიდრე მეტოქე ქალის ლოგინში.

ონორე დე ბალზაკი

- ქალებს გულის ამაჩუყებელი უმანკოება ახასიათებთ. უკიდურესი გაშმაგების ჟამს უმცირესი ხმაური, შრიალი, ფაჩუნიც კი აფრთხობთ. ქალებს ეშინიათ უცაბედად თავს არ წაადგნენ. ეშინიათ საკუთარი უმწეობის გამოაშკარავებისა.

ანი გოლონი

- ულამაზესი ქალი უმაცთურესი არსებაა: "სულ ასე მომდის – საკმარისია ვინმე მომიახლოვდეს, რომ მყისვე თავის უფლებას აცხადებს ჩემზე; ვერ გამიგია რა, იჭვ-ნეული მესაკუთრის უფლება – მე მათ ვეკუთვნი, იმიტომ რომ მოვწონვარ მათ".

პოლ ვალერი (ფრანგი ესეისტი)

- ერთგული მხოლოდ ძაღლია, ქალი – არასოდეს.

კლეოპატრა

- 99 შემთხვევაში ქალი ნამდვილი ბრიყვივით იქცევა, მაგრამ მეასედ მამაკაცზე ეშმაკი აღმოჩნდება ხოლმე.

აგათა კრისტი

- *შიშველი ქალები განსაკუთრებით მოსწონთ მამაკაცებს და კოღოებს.*

- *ქალი თავის დელიკატურ საქმეებს უფრო მეტად მღვდელს, ექიმს და საყვარელს ანდობს.*

- *ქალი იარაღსა ჰგავს, მასთან თამაში სახიფათოა.*

- *რაკი ცნობილია, რა მძიმე ტვირთია მილიონობით ქალისთვის ქმარი, არ უნდა გვიკვირდეს, რომ ქალებს ხშირად სტკივათ წელი.*

- *ქალები საოცარნი არიან, სწორედ რომ საოცარნი: ერთნი ცდილობენ და თავიანთი გააქვთ, სხვები ტირიან და თავიანთი გააქვთ, მაგრამ ყოველთვის თავიანთი გააქვთ...*
- *ქალი როცა ხელს ჰკიდებს საზოგადოებრივ საქმიანობას, მაშინ ეს საქმე მოულოდნელად საზოგადო ხდება.*

მარტი ლარნი *(ფინელი მწერალი ქალი)*

- არც ასაკის მომატება და არც მისი გარეგნული ნიშნების გამოვლენა ტრაგიკულად არ უნდა მივიღოთ. პირიქით, როცა ვცდილობთ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უფრო ახალგაზრდულად გამოვიყურებოდეთ, მეტწილად საწინააღმდეგო შედეგს ვღებულობთ ხოლმე.

სოფი ლორენი

- თუ ბოზობას გამიგებთ სხვა კაცთან,
  მიწყინეთ, თვარა ჩემს ქმართან ბოზობას ვერა საქმით ვერ მოვრჩებიო, – სთქვა ქალმან.

სულხან-საბა ორბელიანი

- უბედურია ქალი გულით გამორჩეული.

იზა ორჯონიკიძე

- ქედის სიყვარული ძლიერია, იგი არ კვდება!

ჯოან როულინგი *("ჰარი პოტერის" ავტორი)*

- ყველამ, განსაკუთრებით კი ქალებმა კარგად იციან, რომ მამაკაცი, რომელიც ჭკვიანურად ლაპარაკობს სიყვარულზე – შეყვარებული არ არის.

- ცოდვა ის კი არ არის, რომ გამოიცვალო საყვარელი და წახვიდე სხვასთან, არამედ ის, რომ ეკუთვნოდე მამაკაცს, რომელიც არ გიყვარს, თუნდაც ის ქმარი იყოს.

- ქალებს არავითარი მორალური საყრდენი არ გააჩნიათ. მათი მორალი მთლიანად დამოკიდებულია იმათზე, ვინც უყვართ.

ჟორჟ სანდი

- ჩემს თვალში მზეთუნახავზე მზეთუნახავი ქალებიც კი არაფერია, თუ მათ არ ახლავთ მამაკაცთა ამალა.

- ის რაც მოკლე უნდა იყოს, ესაა ყმაწვილი ქალის ლაპარაკი.

- ის, რასაც ჩვეულებრივი ადამიანის თვალი ვერ ამჩნევს, ესაა როგორ გვიბერდება დედა.

სეი სიონაგონი *(ჩინელი პროზაიკოსი ქალი)*

- ყველაზე მეტად იმ ქალს ვაფასებ, რომელიც სახლშიც მოწესრიგებულია.

- ქალი არასდროს არ უნდა იყოს გადაშლილი წიგნი.

- ქალები ძალიან ცოტას ითხოვენ, თუმცა ეს როდი ნიშნავს, რომ მეტი არ უნდათ.

- არ შეიძლება გიყვარდეს და არ გტკიოდეს, მაგრამ ეს ტკივილი გაცილებით სასიამოვნოა, ვიდრე ის ტკივილი, რომელსაც უსიყვარულოდ ყოფნა იწვევს.

- სამწუხაროდ მსოფლიო სავსეა ცოლიანი მამაკაცებით, ამიტომაც ქალებს უცოლო მამაკაცებთან თამაშისათვის დიდი არჩევანი არა აქვთ.

- ყველა ქალმა ერთხელ მაინც უნდა იცეკვოს სტრიპტიზი, რათა შეისწავლოს თავისი სხეული და ნახოს, რამდენად ეროტიკულია. მე ძალიან მომწონს შიშველი სხეული და არ მესმის, რატომ აკრიტიკებენ იმ ადამიანებს, რომლებიც შიშველი სხეულის დემონსტრაციას ახდენენ.

- ბედნიერი ვარ, რომ ქალად დავიბადე.

- ვერ დავკმაყოფილდები, თუ საზოგადოება მხოლოდ სექსუალურ ქალად ან კარგ დედად ჩამთვლის. ეს ყველაფერი გაერთიანებული უნდა იყოს, რომ ქალი გერქვას.

- თავს ქალურად განსაკუთრებით ფეხმძიმობის პერიოდში ვგრძნობ.

- ჩვენს დროში იყო სექსუალური ნიშნავს, რომ ქარაფშუტა ქალის შთაბეჭდილება უნდა დატოვო და საკუთარ თავს სერიოზულად აღარ მიუდგე.
- ყველაფერი მაქვს: სახლი, საყვარელი ცხოველები, მესაიდუმლე ოკეანე და სრული ბედნიერებისთვის მამაკაციღა მჭირდება. თუმცა, ხანდახან, როცა ოკეანეს გავყურებ, მიჩნდება აზრი, რომ მამაკაცები დედამიწაზე ზედმეტები არიან.

- ოჯახში ქალი ქმნის ატმოსფეროს. თუ ოჯახში სისუფთავეა, სითბო, მყუდროება, სიცილი და სამზარეულოდანაც კარგი სუნი გამოდის – ასეთ სახლში მამაკაცს ყოველთვის უხარია დაბრუნება.

- ჩემი სიძლიერის საიდუმლო სიყვარულშია. სწორედ სიყვარულის გამო ვარ ძალიან სუსტიც; იმ ადამიანის უარყოფით მხარეებს ვერ ვხედავ, ვინც გიყვარს.

- მთვრალი ქალი საშინელი შესახედავია.

- ქალისთვის დამამცირებელია, როცა საზოგადოების თვალში ჯერ მისი სხეული ჩანს, მერე ტანსაცმელი და ბოლოს – პიროვნება.

- ძალიან მომწონს, როცა მეუბნებიან ჭკვიანი ხარო,
  ქალში მთავარი შინაგანი სილამაზეა.

- ეამე ყველა ქალს ესადაგება.

სხვადასხვა ავტორები

- ყველაფერი მოსაწონია ქალში, რაც წელს ქვემოთაა.

სნაიპრი უისლი

- ბაცმულობა – ბოლოსდაბოლოს ის გზაა, რითაც სხვები გვხედავენ.

ჟაკლინ ტომსონი

- ჩემმა სიალალემ ჩემი თავი ჩემს ქმარს არ მოახმარაო.

- ბატარაიკა ქალი ვარ, ყანასა ვმკი ღულითაო,
  ჩემ დედ-მამათ არ იციან, ქმარი მინდა გულითაო.

ხალხური

სიტყვა ლამაზ ქალზე

ათი ულელი ხარის ჭაპანი
ვერ მიგიზიდავს ისეთის ძალით,
როგორც ღერი თმა ლამაზი ქალის.

ჰერნი ლონგფელო

- ისოვნა სილამაზის შესახებ არ ბერდება, თავად სილამაზე კი... ჩვეულებრივი ქალებისათვის ეს ადვილი გადასატანია. მათ არ იციან, რა არის, როცა მიდიხარ ქუჩაში და ყველა თვალს გაყოლებს... ამიტომ შეუძლებელია, ჩვეულებრივმა ქალმა იცოდეს რას ნიშნავს, როცა ეს აღარ არსებობს.

ბარბარა ბრილსკა

- ყოველ ღირსებას მოკლებულია ის ქალი, რომელიც მხოლოდ სილამაზით იწონებს თავს. ლამაზი ქალი თვალს მოსწონს, კეთილი – გულს. პირველი – ლამაზი ნივთია, მეორე – საუნჯე.

ნაპოლეონ ბონაპარტი

- უკდემო სილამაზე ყვავილია, თავის შტოს მოშორებული.

პიერ ბუასტი

- ლამაზ ქალებს, რატომღაც ყოველთვის ლამაზი სახელები ჰქვიათ.

იუზუფ ბულატოვიჩი

- ლიაცისათვის სილამაზე ისევე მიუცილებელი სიქველეა, როგორც ვაჟკაცისათვის სიმამაცე.

- სილამაზე ის უშრომლად და უეშმაკოდ მიღებული კაპიტალია, რომლის პროცენტებითლამაზი ქალები, არამც თუ კომფორტით ცხოვრობენ, თავიანთ სიბერესაც უზრუნველყოფენ ხოლმე.

- იშვიათობა ამშვენებს არა მარტო ქალის სილამაზეს, ყოველ საგანს, ყოველ არსებას.

კონსტანტინე გამსახურდია

- ამაღიზიანებს, როცა ლამაზი ქალბატონები ამბობენ, რომ სილამაზე მათთვის დამღუპველია.

კირსტენ დანსტი

- ტანჯვის მემილიონედი, კითხვის ორი მეათასედი, ცბიერების და სიხარბის ათასნაირი ნაკვალევი, ზიზღი ცხვირის წვერზე; სხვადასხვა გრძნობის ურიცხვი დასაწყისი თუ ჩანასახი, ქინძისთავებივით მის ნიღაბში როგორ ლაგდება, როდის წესრიგდება ყოველივე ეს? და მთლიანად ამას ჰქვია "ლამაზი ქალი".

ჰოლ ვალერი

- თუ სიტყვა ქალის სილამაზეს ეხება, მისი შედარება გველთან სულ არ არის საჩოთირო.

ოტია იოსელიანი

- კვინტია ძალზედ ლამაზია, თეთრი, მაღალი;
  მისი სხეულის ყოველ ნაწილს უკლებლივ ვაქებ,
  მაგრამ ის მხოლოდ ლამაზია
  და არა სცხია ეშხის მარილი.

გაიუს ვალერიუს კატულუსი

- ქალი რაც უფრო ლამაზია, მით უფრო პატიოსანი უნდა იყოს, რადგან მხოლოდ პატიოსნებით გაუწევს წინააღმდეგობას იმ ზიანს, რისი მოტანაც მის სილამაზეს შეუძლია.

ეფრაიმ ლესინგი

- ლამაზი ქალი ერთდროულად ცაც არის და უფსკრულიც. რა სიამოვნებით აღვაპყრობთ ხოლმე მზერას მის ციურ მშვენებას და რა იოლად გადავიჩეხებით ხოლმე უფსკრულში.

ჰალდი ოსტერი

- ქალის სილამაზე არაფერია თუ არა ბედნიერების დაპირება.

სტენდალი

- ლამაზი ქალები შეჩვეულნი არიან ყურადღების ცენტრში ყოფნას და მამაკაცისაგან განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვენ, ამიტომ სექსისგანაც უჩვეულოსა და არაორდინალურს ელიან. სამწუხაროდ მათი ეს სურვილი უფრო შეუსრულებელი რჩება.

- ქალის სილამაზე არაფერია – მამაკაცები მას მალე ეჩვევიან და მერე აღარ აინტერესებთ.

სხვადასხვა ავტორები

- ლამაზმანები ყოველთვის არ უწყობენ ხელს პროგრესს მეცნიერებაში.

ჯეიმს უოთსონი

- მამაკაცები ლამაზ ქალს ბუზებივით ეხვევიან, მაგრამ ცოლად, რატომღაც, სრულიად უბრალოები მოჰყავთ.

უცნობი ავტორი

- ლამაზი ქალი დღეს შენია, ხვალ – სხვისიო.

- ლამაზი ქალის ცოლად შერთვა წყალში ჩავარდნააო.

ქართული ანდაზა

- ლამაზი ქალის პატრონსა
  ძაღლი უნდა ჰყავდეს ფრთხილი,
  ან ძაღლი უნდა ფრთხილობდეს
  ანდა ქალის დედამთილი.

ხალხური



სიტყვა ქალის უცნაურობებზე

ქალები უცნაური, გაუგებარი და მოუხელთებელი არსებანი არიან.

ანი და სერჟ გოლონები

ქალის შესახებ სულ შეიძლება ითქვას რაიმე ახალი, სანამ ერთი მათგანიც კი დარჩენილა დედამიწაზე.

ბუფლერი

- სექსის დროს ქალი ფიქრობს – ლამაზად გამოიყურება თუ არა.
- ქალი პირველად პერანგს იცვამს, შემდეგ შარვალს ან ქვედატანს. მამაკაცი – პირიქით.
- ქალი ქვედატანსაც პერანგივით იცვამს – ზემოდან.
- ქალი ხშირად ისწორებს ვარცხნილობას.
- ქალი თმას უკან თავის მკვეთრი მოძრაობით გადაიყრის ხოლმე.
- ქალი მკერდით სუნთქავს, მამაკაცი – მუცლით.
- ქალი სიგარეტს კბილებით არ აჭერს, თანაც უფრო ხელში უჭირავს.
- ქალი აბანოს შემდეგ თავს პირსახოცით წაიკრავს (ჩვევა აუხსნელია).
- ქალს გამხმარი თაიგული უყვარს.
- ქალი ხელის ჩამორთმევისას მამაკაცს თითებს არ უჭერს.
- ქალი დაძახებისას მხოლოდ თავს აბრუნებს. კაცი მთლიანად შემობრუნდება.
- ქალები უფრთხიან – ობობებს, ტარაკანებს, თაგვებს.
- მამაკაცი ხელის ჩვენებისას ხელისგულის დემონსტრირებას აკეთებს. ქალი კი მანიკიურისა და ბრილიანტის ბეჭდის რეკლამას ეწევა.
- როცა ქალი იმპერატივით საუბრობს, მაგიდას ფრჩხილით უკაკუნებს. მამაკაცი მუშტებს იქნევს.
- მთაზე მოძრაობისას ქალები მოკლე ნაბიჯებს დგამენ.
- ქალს არ მოსწონს, როცა მისი ხელები თავისუფალია. ამ შემთხვევაში ისინი მოთავსებული აქვს უფრო მკერდის არეში.
- ქვიშაზე, პლიაჟზე, ქვებზე ქალი ფეხის წვერებით დადის.
- დაჯდომისას ქალს ფეხები მიტყუპებული ან ერთმანეთზე აქვს გადადებული.
- ქალის ქამარი თეძოებს ზევითაა. მამაკაცისა – თეძოებზე.
- კაბის ჭრილის გახსნისას ქალი არ ღელავს, მაგრამ ღილს დაუყოვნებლივ იბნევს.
- აუცილებლობისას ქალი ყურებს თითებით იცობს. მამაკაცი ხელისგულებით იფარავს.
- ქალი ქუჩაში ხელთათმანებით გადის. მამაკაცი გზადაგზა ირგებს.
- ქალი ხურდას ჯიბეში არ იყრის.
- სექსის შემდეგ ქალს საუბარი ან მოფერება სურს.
- პროფესიონალი მეძავი ტუჩზე ან სახეზე კოცნის უფლებას არ იძლევა ან გულგრილად ხვდება.
- სარკეში ქალი მამაკაცზე ორჯერ უფრო იშვიათად იხედება.

- ქალებს მოსწონთ სარკე, რომელშიც მთლიანად ჩანან.
- ქალი იშვიათად შორდება სარკეს თუ სხეულის უკანა მხარეს არ შეხედა.

- ქალი მამაკაცს შეხვედრისას ხელს შორიდან ართმევს და შეპარვით წელს ქვემოთ აკვირდება.
- მჯდომარე ქალს თუ ნივთი ხელიდან გაუვარდა ფეხებს გაშლის ხოლმე, რომ ეს ნივთი კალთაში მოიქციოს, მამაკაცი კი ფეხებს ერთმანეთთან ატყუპებს, რათა ნივთი მუხლებით დაიჭიროს.
- ძველთაგან ცნობილია, რომ გული უფრო გოგონებს მისდით, ვიდრე ბიჭებს.
- ქალი მამაკაცის თვალიერებას ქვემოდან იწყებს და მისი პირველი სასიამოვნო შთაბეჭდილება გაპრიალებული ფეხსაცმლიდან იწყება.
- ქალი მშვიდად ხვდება კბილის ამოღებასა და საინექციო თუ საანალიზო ნემსების ჩხვლეტას, ხოლო მამაკაცი ამ პროცედურების დროს თითქმის შოკში ვარდება.
- ქალის გული ხუთჯერ მეტ დატვირთვას იტანს, ვიდრე მამაკაცისა.
- ქალი სანამ აცნობიერებს რომ ქალია, თავს უფლებას აძლევს ყველაფერი თავიდან დაიწყოს.
- თუ ქალს კონკრეტულ კითხვაზე პასუხის გაცემა არ სურს – გაიღიმებს.
- ქალების უმეტესობა ფიქრობს, რომ ძალიან გაუმართლა, რადგან ქალად დაიბადა.
- თუ ქალი რამეს გკითხავთ და პასუხს ან გულგრილად ისმენს, ან ყურადღება ეფანტება, ეს შინაბერობის ერთერთი სიმპტომია.
- ქალს დიდად არ უხარია, როცა მომეტებულ ყურადღებას მხოლოდ მის გარეგნობაზე ამახვილებენ.
- ქალი საყვარელს (სექსუალურ პარტნიორს) ძირითადად გვარით მოიხსენიებს.
- ქალის ორგანიზმში ოქროს შემადგენლობა 5-6-ჯერ მეტია, ვიდრე მამაკაცისაში.
- ქალებს არ უყვართ პოეტური მამაკაცები.
- თუ ქალი ამბობს, რომ არაფერი აქვს ჩასაცმელი, ე. ი. ახალი არაფერი აქვს.
- ქალი მამაკაცს წარსულს უმალავს, მამაკაცი – მომავალს.
- ქალს ურჩევნია იყოს ლამაზი, ვიდრე ჭკვიანი, რადგან მამაკაცების უმეტესობა უკეთ ხედავს, ვიდრე აზროვნებს.
- ქალმა ისე უნდა ჩაიცვას, რომ მამაკაცს გახდის სურვილი გაუჩნდეს.
- უკეთესია ბრძოლა რინგზე, ვიდრე ურთიერთობა ქალებთან. რინგზე რაღაც წესები მაინც არსებობს. ქალები კი არავითარ წესებს არ ემორჩილებიან.

უცნობი ავტორები

- ქალებს ხშირად უბრალო, ულამაზო მამაკაცები უყვართ.

ლევ ტოლსტოი

იუმორისტული სიტყვა ქალზე

ქალების გარეშე ყოფნა ისევე შეუძლებელია, როგორც მათთან ცხოვრება.

არისტოფანე

- მე მხოლოდ ორმოცისა ვარ, ცოლი კი უკვე ორმოცისაა.

სილვესტერ გალამბოში

- ქალებს სამი რამ გამოსდით დიდებულად: ქუდები, სალათები და სკანდალები.

იაპონური ანდაზა

- არ ღირს 40 წლის ქალს ასე მიმართო – თქვენ თქვენი 45-ის მიუხედავად გამოიყურებით როგორც 30-ისა.

ანდრეი კნიშევი

- ქალები ხშირად იცვლიან საცვლებსა და აზრებს და ორივე ძალიან სუფთა აქვთ.

მარტი ლარნი *(ფინელი მწერალი ქალი)*

- როცა ქალი იხდის, მამაკაცს თხოვს, რომ შებრუნდეს, როცა ცოლი იხდის – მამაკაცი თვითონ შებრუნდება.

გ. ლიხტენშტეინი

- ქალი და სპილო წყენინებას საერთოდ არ ივიწყებენ.

ჰექტორ ხიუ მონრო

- ქალები ყველაფერზე წამსვლელები არიან... სხვა დანარჩენზე – მამაკაცები.

არედონდო რენე

- ქალმა უნდა დაიცვას თავი პირველად, კაცმა _ მერე და ვაი დამარცხებულს.

სტენდალი

- ქალების დიდმა ნაწილმა ძალიან კარგად იცის, რომ სექსი მისწრებაა თავის ტკივილის დროს.

რიჩარდ უილბური

- ჭერი იატაკზე ნაკლებად როდი ერკვევა ქალის ფეხის ზომაში.

- მე ასე ვფიქრობ: თუ ცოლმა გადააბიჯა ორმოცს, მამაკაცს უნდა ჰქონდეს უფლება გადაახურდაოს იგი, როგორც ბანკნოტი, ორ ოცწლიანზე.
- გაყრისას ცოლმა წამართვა ყველაფერი... გვარის ჩათვლით.
- მყავს ჩემზე 6 წლით უმცროსი ტყუპისცალი და.
- მაინც რით ჰგავს ცოლი და სიკვდილი ერთმანეთს?
  ორივე სხვისა სჯობია.
- თუ ქალს შუბას ჩააცმევ, შეგიძლია ყველაფერი გახადო.

უცნობი ავტორები

- დედაბერს ჰკითხეს – კაცს ირჩევ თუ გოზინაყსო და სად მაქვს შვილო საგოზინაყე კბილებიო.

ქართული სალაღობო

- ქალები წაიხემსებენ საუბრებს შორის, ხოლო მამაკაცები საუბრობენ წახემსებებს შორის.

მალკოლმ შაზალი

- მთელ ქონებას ვუტოვებ ცოლს ერთის პირობით – გათხოვდეს ჩემი სიკვდილის შემდეგ; მინდა ერთმა კაცმა მაინც დამიტიროს.

ჰაინრიხ ჰაინე

სიტყვა ქალის ერთგულებაზე

ერთგული ძაღლია, ქალი _ არასდროს!

კლეოპატრა

- ქალი ყოველთვის მერყევი და ცვალებადია.

ვირგილიუსი

- მე სატრფო ჩემი მეუბნება – არ მივთხოვდები
  არავის შენს მეტს, რომ მითხოვოს იუპიტერმაც.
  ამას კი ამბობს, მაგრამ რასაც ამბობს ტრფობის ჟამს
  ყოველი ქალი, – იწერება ქარზე და წყალზე.

კატულლუსი

- ერთგულება მამაკაცისთვის ერთ-ერთი თავია მეტაფიზიკისა, დედაკაცისთვის – ერთ-ერთი პარაგრაფი ტაქტიკისა.

კუდცუსი

- ამქვეყნად ბევრია ისეთი ქალი, ერთხელაც რომ არ განუცდია მამაკაცის ალერსი და ძალზე ცოტაა ისეთი ქალი, მხოლოდ ერთი მამაკაცის ალერსს რომ დასჯერდეს.

- ქალი თავის მხრივ დიდხანს ერთგულობს თავის პირველ სიყვარულს, თუ მეორეზე არ გაცვალა იგი.

ფრანსუა დე ლაროშფუკო

- წარმოუდგენელია ქალი, რომელმაც თუ სინამდვილეში არა, ფიქრებში მაინც არ უღალატოს საყვარელს.

ჭოლა ლომთათიძე

- სჯობს სიშორე დიაცისა, ვისგან ვითა დაითმობის,
  გილიზღებს და შეგიკვეთებს, მიგინდობს და მოგენდობის,
  მართ ანაზდად გიღალატებს, გაჰკვეთს რაცა დაესობის.

შოთა რუსთაველი

- ამედი იქონიე ძაღლის ერთგულებისა ბოლომდე, ქალისა – შემთხვევამდე.

სტენდალი

- მოღალატე ქალი არ არსებობს, ასეთი სიტყვა ქალს არ უნდა ვაკადროთ: ეს დამოკიდებულია როგორც მის ტემპერამენტზე, ასევე მამაკაცზე.

ნოდარ ჭიჭინაძე (ანდროლოგი)

სხვადასხვა

ქალის სიცოცხლე არის მარადიული ძიება იმისა, თუ ვის დაემონოს იგი.

თეოდორ დოსტოევსკი

მამაკაცს, რომელსაც შეუძლია მართოს ქალი, შეუძლია მართოს მსოფლიო.

ონორე დე ბალზაკი

ქალი ეს ისაა, რაც უნდა ვიცოდეთ სამოთხეზე.

ალბერ კამიუ

- მეუფება სიტურფისა და მშვენიერებისა წარმავალია, ხოლო სათნოება თავის დღეში არ გარდავა.

ავრემონტი

- თუ ქალი კომპლიმენტზე სწორად არ რეაგირებს, ამის მიზეზი საკუთარი თავისადმი ფარული უნდობლობაა.

ამერიკელი ფსიქოლოგების დასკვნა

- ვინც დიაცში ეძებს სიკეთეს, ბოროტებაღა შერჩება მხოლოდ.
- დიდი ბოროტება განთესა ქალში მაღალმა ღმერთმა.
- სახლში სადაც კი ნატამალი არის დიაცის,
  ძვირფას სტუმარსაც ვერ მიიღებ გულდამშვიდებით.
- მაღალმა ღმერთმა ქალთა სახით დაგვდო ბორკილი
  მტკიცედ ნაჭედი, სანავარდო შეგვიკრა გზები.

სიმონიდე ამორგოსელი

- ტოლხამ თქვა შეთეკაურმა:
  ქალს ჭკვა არ მოეთხოვება,
  მაგრამ უქალოდ ბინდი და
  ბინდისფერია ცხოვრება.

ალუდა არაბული

- ქალები, რომლებიც ლოთობენ, ბადებენ შვილებს, ამ მხრივ დედებს რომ ემსგავსებიან.

არისტოტელე

- ქალი ცხოვრების საკაზმია.

აფრიკული ანდაზა

- ქალები არაიშვიათად უღირსს, მათთვის შეუფერებელ მამაკაცებს ეტრფიან ხოლმე.

აღმოსავლური სიბრძნე

- ყველა ქალის ცხოვრებაში არის მომენტი, როცა იგი “შიშველი მახაა” და იშვიათად ჩანს უმანკო. როცა უმანკოება ჰქრება, მაშინ იგი მორიდებასაც ამარცხებს: კაცს აღარ რცხვენია თავისი “საომარი აღჭურვილობისა”, ქალი კი ნიშნად იმისა, რომ “ციხე სიმაგრეს” სთმობს, მზად არის ჯარისკაცების გასაგონად იყვიროს “ქალაქის კარი ღიაა”.

ერვენ ბაზენი

- საკმარისია კაცს ისეთი ქალი შეხვდეს, რომელიც მას ძალიან უყვარს, ან არ უყვარს და მთელი მისი ცხოვრება კალაპოტიდან ამოვარდება.

- როცა ქალს არავინ უყვარს, იგი კეკელუცობს.

- ქალი სიყვარულში ჰგავს არფას, რომელიც თავის საიდუმლოს ანდობს მხოლოდ მას, ვინც მასზე კარგად უკრავს.

ონორე დე ბალზაკი

- ქალი ეს არის ცა, მაგრამ ეს ცა ისე შორსაა მამაკაცისაგან, როგორც მიწა ცის თაღისაგან.

კალდერონ დელა ბარკა

- დედაკაცის გულმა ერთი ბედნიერება იცის დედამიწაზე: ამ ბედნიერებას ჰქვია – მიყვარს და ვუყვარვარ.

თომას ბეერი

- ქალის ღირსების საზომი ის მამაკაცია, რომელიც მას უყვარს.

ბესარიონ ბელინსკი

- 30-ზე მეტი ხნის ქალები თავიანთ საუკეთესო ფორმაში იმყოფებიან, მაგრამ 30-ზე მეტი ხნის მამაკაცები საკმაოდ ხანდაზმულებია ამის შესაფასებლად.

ალან პოლ ბელმონდო

- ვცდილობ ვიყო ისეთი, როგორიც ვარ, მამაკაცები ბუნებრივ ქალებს ანიჭებენ უპირატესობას.

მონიკა ბელუჩი

- დედაკაცისთვის სიყვარული უფრო ხშირად ქალიშვილია და არა დედა ეჭვიანობისა.

კარლ ლუდვიგ ბიორნე

- ძალიან ბედნიერი ვარ, როცა ადამიანები ჩემში პირველ რიგში, პიროვნებას ხედავენ და არა მორიგ ლამაზმანს.

ბარბარა ბრილსკა

- ხან შვებას თესავ გულებში და ხან ზაკვით სერავ.

შარლ ბოდლერი

- ბუნებამ უთხრა ქალს: იყავი მშვენიერი – თუ შეგიძლია,
  იყავი ბრძენი – თუ გსურს, მაგრამ კეთილგონიერი უსათუოდ უნდა იყო.

პიერ ბომარშე

- მხოლოდ ქალს შეუძლია შეაჩეროს დრო... დროებით.

იუზუფ ბულატოვიჩი

- ქალიც, როგორც ყოველი ნაალაფარი, ხომ მისწრებაზეა.
- ქალის პროფესია და ცოლობა შეუთავსებელი საქმეა.
- *ცეცხლი, ქალი და ღვინო საუბრის წადილს უორკეცებს მამაკაცს.*
- როცა მამაკაცი სტირის, იგი ძალზე საცოდავია და ხანაც საზიზღარი, მაგრამ არავის ისე არ შვენის ტირილი, როგორც ქალსა და ბავშვს.
- არაფერი ისე შემზარავი არაა ამ ქვეყნად, როგორც მახინჯი დიაცები ერთად შეყრილნი.
- მამაკაცის ცხოვრებაში ქალს მრავალსახიერი როლი აქვს მიკუთვნებული. განუზომელია მისი ზეგავლენა, მაგრამ საოცარი ისაა, რომ ყოველ ასაკში სულ სხვადასხვაგვარად გადატყდება ხოლმე ამ მარად ქალურობის სხივი მამაკაცების ბუნებაში.
- ცხოვრებაში ერთხელ მოგხვდება ისეთი ქალი, რომელიც ბედნიერების ერთადერთი სასწაულია, მაგრამ ახალგაზრდული სიშლეგის, ან უბედურების გამო ხელს დააცდენ და მერე მთელი სიცოცხლე ამ ქალზე მოგონებად იქცევა, მოგონებად და სინანულად.
- ქალები რომ არ გაეჩინა იმ დალოცვილ ღმერთს, მამაკაცები ნაკლებად იყბედებნენ.
- ზოგ მწერალსა და ლამაზ ქალს ერთნაირი უბედურება სჭირთ: ვინც მათ ვერ მისწვდება, ყველას აგინებენ.
- ქალს სწორედ მაშინ უნდა წაავლო ხელი, როცა ჭოჭმანს იწყებს.

- დედაკაცი სიყვარულის სახელით ყველაფერს აპატიებს კაცს და ყველაფერს შესწირავს.

- თუ ქალის გულის მონადირება გსურს, მომეტებული ყურადღება არ უნდა მიაქციო.

კონსტანტინე გამსახურდია

- თუ კაცმა ქალი არ ითხოვა, რა ქნას ქალმა?

აკაკი გელოვანი

- ამაკაცის ცბიერებას კიდევ არა უშავს, დედაკაცისას – ბოლო არ უჩანს.

გერმანული ანდაზა

- თუ გინდა შეიტყო დედაკაცის სიკეთეთა ღირსება, მოიცადე იმ დრომდე, ვიდრე სილამაზე დაეკარგებოდეს.

ბოი გობერტი

- ქალს უფრო მეტი ნიჭი აქვს სწავლებისა. ამერიკული სკოლების უმეტესი ნაწილი სწორედ ქალების ხელშია.

იაკობ გოგებაშვილი

- სახლი სადაც სამი ქალი საქმიანობს, დახვეტილი არასოდეს არ იქნება.
- ქალი ვერცხლის თასია სადაც ჩვენ ოქროს ვაშლებს ვაწყობთ.

- ქალთა ნიჭზე მუდამ ხელახლა ვრწმუნდები, რომ ქორწინებასთან ერთად ის წყდება ხოლმე.

- ქალი ყოველი არსის გვირგვინია.

იოან ვოლფგანგ გოეთე

- ამაკაცს ჰსურს ქალისგან შექმნას ცოდვილი ან ანგელოსი: ცოდვილი – რათა გაერთოს მასთან, ანგელოსი კი იმისთვის, რომ ქალს უყვარდეს და დარწმუნებული იყოს მის ერთგულებაში, მაგრამ ქალი ამსხვრევს ამ გეგმებს, ვინაიდან მისთვის არც ცოდვა არსებობს და არც სიწმინდე.

ან გოლონი, სერჟ გოლონი *("ანჟელიკას" ავტორები)*

- ქალს რომ სიყვარული გამოაცალოთ, ჰაერით გაბერილი კაბაღა შეგრჩებათ.

მაქსიმ გორკი

- დედაკაცი ღრმად იხედება, მამაკაცი ვრცლად; მამაკაცისთვის ქვეყანა გულია, დედაკაცისთვის გული – ქვეყანაა.

ქრისტიან იოაჰიმ გრამი

- ქალი მშვენებას უდრის,
  იყოს ყოველთვის ქალი!

ტერენტი გრანელი

- ჭეშმარიტად, ქალის სიყვარული უფრო საშიშია, ვიდრე მისი სიძულვილი.

იოსებ გრიშაშვილი

- ცოლს ხომ სულ ასე ჰგონია –
  ვიღაცა ართმევს ქმარს;
  გინდ აჟღერებდე ყოველდღე
  მისთვის ჩანგსა და ქნარს.

ნოდარ გურეშიძე

- მადლობა, ღმერთო, რომ შემქმენ კაცად!
  მადლობა, ღმერთო, რომ შექმენ ქალი.

ბათუ დანელია

- "ჰო" ისეთი სიტყვაა, რასაც ქალები თვალებით უფრო ამბობენ, ვიდრე ენით.

ადრიან დეკურსელი

- თუ ქალმა გული მოგიკლა, ხოსროვ არ დაგმო ზეცა,
  დასაბამიდან ასეა ქალის წესიც და ზნეცა.

ამირ ხოსროვ დეჰლევი

- ღვთისმშობელი და ყოვლად პატიოსანი
  დედა, ქალწული, მშვენიერი შროშანი;
  მას ახარებდა ანგელოსი ფრთოსანი
  და მას ჰმონებდეს მეფე მრავალყმოსანი.

დიმიტრი მეფე

- ვინც ქალის სიყვარული დაჰკარგა, თავის თავს დააბრალოს, რომ ის ბოლომდე ვერ შეინარჩუნა.

ალექსანდრე დობროლიუბოვი

- ქალს, შეიძლება კაცის მოჭრილი თავი საწოლის ქვეშ ედოს და მამაკაცის შემოსვლაზე წარბიც არ შეიკრას, მაგრამ თმის ერთი კულულიც რომ ჩამოეშალოს, უთუოდ აღელდება.

არტურ კონან დოილი

- ქალის სექსუალურობისთვის მთავარია მკერდი და თეძო, სიმაღლეს და ფეხების სიგრძეს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.

დომენიკო დოლჩე, სტეფანე გაბანა

- ქალს ჰქმნის მიწისა და ჰაერის ყოველგვარი თილისმა:
  ქვეყნიერებას ასული მოევლინა; მთელს ქვეყანას სწყურია მისი სილამაზე, თითქოს ყვავილი იყოს. მისი 17 წლის ასაკში მთელი საუკუნის თილისმაა ჩაქსოვილი. აი, რატომაა მის მიერ აღძრული ვნება ნაღველშერეული.

თეოდორ დრაიზერი

- მამაკაცი ცხოვრობს დავიწყებით, ქალი – გახსენებით.

თომას სთერნზ ელიოტი

- მამაკაცმა დაამარცხა ქალი, მაგრამ გამარჯვებულის დაგვირგვინება დიდსულოვნად ითავა დამარცხებულმა.

ფრიდრიხ ენგელსი

- მოხუცს აღარ შეუძლია,
  ყმაწვილმა კი ჯერ არ იცის;
  და რად გიკვირს ქალიშვილი
  მათი ტრფობით რომ არ იწვის.

- ღმერთი რომ იქცეს კაცადა
  ქალი იქცევა ქაჯადა.

- ვისაც არ უყვარს ღვინო, ქალი და სიმღერა, ის სიკვდილამდე ბრიყვი იქნება.

- ქალიშვილის გათხოვებით გემატება ღვიძლი შვილი,
  ვაჟიშვილის ქორწინებით, გეკარგება ღვიძლი შვილი.

- თუ ქალიშვილი შინ არის მარად
  სასიძოები მოდიან ჯარად.

- ქალი თვალის სამოთხეა, სულის ჯოჯოხეთი და ჯიბის განსაწმენდელი.

ესპანური ანდაზები

- ქალი სულის მტერია, მაშინაც როცა იზიარებს და მაშინაც, როცა უარყოფს სიყვარულს.
  ბუნებრივი და აუცილებელი მტერი, მე ვიტყოდი უკეთესი მტერი სულისა.
  უკეთესი მტერია ის, ვინც გვაიძულებს თავდაცვისა და თავდასხმის ყველაზე მახვილგონივრულ ხერხებს მივმართოთ.
- ქალისა და კაცის ურთიერთობა მთელი მაგიაა.
- ღმერთმა შექმნა კაცი და რაკი ვერ ჰპოვა, რომ ის საკმარისად მარტოა, სამეგობროდ შეუქმნა ქალი, რათა კაცს უკეთ ეგრძნო თავისი მარტოობა.

პოლ ვალერი

- საქმრო საცოლეს დაეძებს,
  საცოლე კიდევ საქმროსა,
  ერთსაც ის უნდა სხვასაცა,
  რომ პირი ჩაიშაქროსა.

ვაჟა-ფშაველა

- ბოროტი დედაკაცები ნადირთა უფრო ძნელია,
  თუ მაგრა არ დაიჭირეს, ბევრის ავისა მქნელია.

ვახტანგ VI

- ქალის პატივისცემა – ეს ვალია წმინდა;
  ყველა უნდა სწავლობდეს, დაბადების დღიდან.

ლოპე დე ვეგა

- დედაკაცმა თავისი ბუნების მოთხოვნილება უნდა რიგზედ აღასრულოს, ე. ი. თავის აგებულებისდაგვარად, რადგანაც უზომობა თუ ჭამაში, თუ სმაში, თუნდა სხვა საქმეებში, აგრეთვე ძილში, ესენი თუ თავის ზომაზე არ ქნა, რაღა თქმა უნდა ჯანმრთელობას დაჰკარგავს.
- ოთხი რამე ჰმართებს დედაკაცსა – სიყვარული ქმრისა, არ გამწარება მისივე, ცოტას დაჯერება, დიდი სიფრთხილე თავის თავისა.
- ოთხი რამ სწყინს დედაკაცს – ქმარი სხვათა მოარშიყე, შფოთიანი სახლი, სიშორის ნატვრა შვილებისა, მათი უდროო სიკვდილი.

- ოთხი ზიანი მოსდევს ქალთა სიყვარულს – დამახინჯება სულისა, დასუსტება სიყმისა, გარდაგება ქონებისა, დაახლოვება სიბერისა.

ეფრემ ვერდი

- ქალი ყველგან სადაც ქალობს, სამსალად და თაფლად წვეთავს.

ფრანსუა ვიიონი

- ქალებს საჭესთან არაფერი ესაქმებათ. სპორტის ყველა სახეობაში შეიძლება ბედი სცადონ, გარდა რბოლისა.

ჟაკ ვილნევი

- არ არსებობს ცბიერება, ქალის ცბიერებას რომ აღემატება.

ისო ზირაქი

- ცოლს მზითვად თბილი გული და გაწონასწორებული ხასიათი უნდა მოჰყვეს.

არმაზ თავაძე

- მამაკაცი მხოლოდ შავად არის გამოჯორკნილი. ქალი უკვე დასრულებული არსებაა... ქალი იმთავითვე დედაკაცის ყალიბში იქნა ჩამოსხმული. მამაკაცს არ მიუღია რაიმე თავდაპირველი დანიშნულება.

- ქალებს ვერაფერი გაუგიათ დიდების მაძიებელი მამაკაცებისა: თუ განიზრახეს შორს წასვლა, მზად არიან კაცობრიობის გული დაამსხვრიონ, იმ ნამსხვრევებით თავიანთი გზა მოკირწყლონ, რათა გამარჯვების ეტლით უფრო ლაღად იქროლონ.

რაბინდრანათ თაგორი

- სიყვარული სათნოებაა დედაკაცისა.

თალმუდი

- ეშმაკი ვერაფერს გააწყობს, თუ დედაკაცი ხელს არ შეუწყობსო.

იაპონური ანდაზა

- ქალმა არ უნდა განახორციელოს თვითშეწირვის აქტი, თუ მის გვერდით მამაკაცი – ნათესავი არ არის. ქალის დანიშნულება თავისუფლებისათვის ბრძოლა კი არა, რწმენისათვის წამებულთა შთამომავლობის გაგრძელებაა.

იასინი ახმედი *(პალესტინის მოძრაობის ლიდერი)*

- მხოლოდ ქალს ესმის, რა არის სიყვარული, ვაჟკაცისათვის ხშირად იგი ოცნებაა.

- ქალი ერთი კოცნის გამო თავით ფეხებამდე გულად გარდაიქმნება ხოლმე და არც ერთი სიმი და ძარღვი არ მოიპოვება ისეთი, ამ დროს რომ არ ზეიმობდეს და არ თრთოდეს.

იმერ მანი

- მამაც მოყმეს ხეტიალი ასუსტებს,
  ქალს კი ჰფიტავს ნაკლებობა ალერსის.

ინდური სიბრძნე

- ქალი აბრეშუმივითაა – აჩნდება ხელი და იცვითება.
- არაფერი დაბადებულა ამქვეყნად ქალზე მშვენიერი და მახინჯი, იმაზე ჭკვიანი და შტერი, პირიანი და ორპირი, გამტანი და გაუტანელი, ერთგული და მოღალატე, ამშენებელი და დამაქცევარი.
- ვაჟკაცი ქალის სახელს თვალისჩინივით უნდა უფრთხილდებოდეს.
- ზოგ ქალს ახასიათებს სიტკბო, ცეცხლი თუ ქალური უსიტყვო ძახილი, ყველა მამაკაცს რომ ესმის. ზოგჯერ არ უხმობს და მაინც ესმის.
- გოგონების პატრონი ნახევრად უშვილძიროა.
- ყველა ქალს სხვაზე ლამაზი ჰგონია თავი.
  ამას ვერც იმან უშველა, რომ სარკე გამოიგონეს.
- ქალი რომ გასაჩენი იყოს, თორმეტსავე ნეკნს ამოვიგლეჯ და შევქმნი.
- ადამიანის, და მითუმეტეს ქალის გული თაყვანისმცემლებით გაუმაძღარია.
- ბიჭები გოგოებზე ხომ მუდამ ლაპარაკობენ, დედას კი მაშინ წამოიყვირებენ, როცა რამე ეტკინებათ.
- ბიჭები, რაგინდ ცუდი ამბავი არ უნდა იყოს, მშობლებს აცნობებენ, კარგს – გოგოებს.
- მოტაცებული ქალი და წკნელის გალიაში დამწყვდეული მიმინო ერთია.
- ქალს თურმე ის უნდა უქო, რაც არ გააჩნია, თორემ რაიმე ღირსება თუ აქვს, ამას ის უშენოდაც გამადიდებელი შუშით უყურებს.
- თუ ქალი მზედ არ მიგაჩნია, თვით მზეც არ მზეობს.
- ქალი საერთოდ კარგი გამოგონებაა.
- ქალი ხომ ხელისგულზე სატარებელი არსებაა?
- ქალს სიყვარული უნდა, რამდენადაც უჭირს იმდენად.
- ქალი ჯოჯოხეთში რომ ჩააგდო და კუპრში ხარშო, მაინც ქალია.
- ქალი გადამფრენი ჩიტივითაა – სადაც დაიბადა და გაიზარდა, იქ არ ჩერდება.
- კაცი რჯულად გასაწყვეტია – ქალი დაანახე და მუნჯი ოქროპირად გადაიქცევა.
- ქალს ენაზე რა დაამაგრდება?

- სადაც ქალია, იქ ჯარისკაცს რა დააძინებს?
- ქალს ან კარგი სიტყვით იმორჩილებენ, ან ძალით. ძალას ცოტა დრო სჭირდება; სიტყვა გრძელია.
- ქალი პატიოსანი და უპატიოსნოც, საბრალოა; სიყვარულშიც საბრალოა და სიძულვილშიც, ღალატში და გაუტანლობაში ხომ ცოდვაა და ცოდვაა.
- ოჯახი ქალისთვის ერთადერთი თავშესაფარია და შვილი კი – საწყისი და სასრული.
- დაწყევლოს ღმერთმა ქალის გაჩენა: მაინც თვალებში აქვს ჭკუა და ჭეშმარიტებას ან საერთოდ ვერ ხედავს, ან რომ დაინახავს, თვალები ევსება.
- ქალი მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულისთვისაა გაჩენილი და მას თავისი არსის ღალატი არ ძალუძს, მზადაა დაუფიქრებლად ყველაფერი იავარჰყოს, რაც ამას წინ ეღობება, თვით საკუთარი არსებობაც კი, რისთვისაც ამას ჩაიდენს.
- მომაკვდინებელი ცოდვაა ქალს ირთავდე და არ უყვარდე.

ოტია იოსელიანი

- მოწიფული მამაკაცი, ეს ისაა, ვინც ცდილობს ნაძვის ხეზე აღმოაჩინოს ლამაზმანი, მაგრამ პოულობს ჰალსტუხს.
- 25 წლის მამაკაცებს სჯერათ ის, რასაც ქალები ეუბნებიან, 50 წლის შემდეგ კი ისევ იწყებენ ამის დაჯერებას.

იანინა იპოხორსკაია

- ზოგი ქალი წიგნებს საათივით საჩვენებლად და თავმოსაწონებლად ატარებს. სულერთია ეს საათი უნდა იდგეს, უნდა სწორად დადიოდეს.

იმანუელ კანტი

- ყველგან და ყოველთვის ქალის უპირველესი ღირსება იყო თავდაჭერილობა.

ნიკოლოზ კარამზინი

- ტურფა ქალი მცირე ნუგეშს სილამაზით მაინც მოგცემს, თუა გონჯიც და უწესოც, მაშინ ნახე ბედის წყრომა.

კასია (ბიზანტიელი პოეტესა)

- ვაყრა გულისგამაწვრილებელი პროცედურაა. არსებობს მშვენიერი ხერხი ნერვების დასაწყნარებლად: მოძებნე ქალი, რომელიც გძულთ და უყიდეთ მას სახლი.

ჯონათან კაცი

- დედობა ჩემთვის ბედის ყველაზე დიდი საჩუქარია.

ნასტასია კინსკი

- ქალური ალღო ბევრად უფრო ზუსტია, ვიდრე მამაკაცის მტკიცე რწმენა.

რედიარდ კიპლინგი

- ორი ნახევარი მხოლოდ მათემატიკაში შეადგენს ერთ მთლიანს. ცხოვრებაში ასე არ არის. მაგალითად ჭკუანაკლული ცოლისა და ჭკუანაკლული ქმრის ჯამი ორი შეშლილია და არა ერთი ჭკვიანი.
- ქალის სიყვარული მამაკაცს წამიერ ტკბობას ანიჭებს და სამუდამო მოვალეობას აკისრებს. ყოველ შემთხვევაში უსიამოვნებებით მაინც აჯილდოებს მთელი ცხოვრების განმავლობაში.
- კარგი ქალი გათხოვებისას ქმარს ბედნიერებას ჰპირდება, ცუდი კი – ბედნიერებას ქმრისგან ელის.
- წესიერ ქალს გათხოვებამდე შეიძლება უყვარდეს მხოლოდ საქმრო, ხოლო გათხოვების შემდეგ მხოლოდ ქმარი. მაგრამ მას საქმრო არ უყვარს თავდავიწყებით, რადგან იგი ჯერ კიდევ არაა ქმარი, ხოლო ქმარიც არ შეიძლება თავდავიწყებით უყვარდეს, რადგან იგი უკვე არაა საქმრო. ასე, რომ ქალს თავდავიწყებით არასდროს არავინ არ უყვარს.
- ქალის წინაშე მამაკაცი მუხლებზე იმიტომ ეცემა, რომ ქალი დაცემაში დაეხმაროს.
- მამაკაცი ისმენს ყურით, ქალი – თვალით, პირველი – რომ გაიგოს რას ელაპარაკებიან, მეორე – მას რომ მოეწონოს, ვინც ელაპარაკება.
- მამაკაცი ყველაზე მეტად ქალის ადვილად დანებების მიდრეკილებას აფასებს.
- კაპრიზი – ქალური აზროვნების სქესობრივი კატეგორიაა.
- ყველა ქალის საყვარელი მამაკაცი, არცერთ ქალს არ უყვარს.

ვასილ კლიუჩესკი

- ქალებთან და სულმოკლე ადამიანებთან ურთიერთობა ძალზე ძნელია, თუ მათთან ახლოს ხარ – ჭირვეულობენ, თუ დაშორდები – ბუზღუნებენ.

კონფუცი

- უქალიშვილო ოჯახი უცეცხლო ღუმელია.

კორეული ანდაზა

- ჯვრისწერა მარტოოდენ ქალის სილამაზისათვის იგივეა, რაც მამულის ყიდვა მხოლოდ იმიტომ, რომ იქ ვარდია. უკანასკნელ საქციელს მეტი გამართლება აქვს, რადგან ვარდი ყოველ წელს იფურჩქნება და იშლება.

ავგუსტ ფრიდრიხ ფერდინანდ ფონ კოცებუ

- თითქმის ყველა ქალს შესწევს უნარი, ყველაზე უმაღლესი გმირობა ჩაიდინოს სიყვარულის გამო.

ალექსანდრე კუპრინი

- ქალების უმეტესობას პრინციპი არ გააჩნია: ისინი გულის კარნახს ემორჩილებიან და მათი საქციელი დამოკიდებულია იმ მამაკაცზე, რომელიც უყვართ.
- ქალებს უკიდურესობა ახასიათებთ: ან მამაკაცებზე გაცილებით მაღლა დგანან, ან გაცილებით დაბლა.

ჟან დე ლაბრიუერი

- ქალისთვის იგივეა ახალგაზრდობა სილამაზის გარეშე, როგორც სილამაზე ახალგაზრდობის გარეშე.
- რასაც ჩვენ სიქველეს ვუწოდებთ, ხშირად სხვა არა არის რა, სხვადასხვა საქციელისა და ანგარების ერთობლიობა, ბედისწერითა და ჩვენივე ცბიერებით ერთად შერწყმული და მოწესრიგებული. ამიტომ, როცა ქალები უმანკონი არიან, ყოველთვის როდი შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ მათთვის მართლაც ნიშნეულია უმანკოება.
- არ არსებობს ისეთი კაცი, რომელიც ერთხელ გულს აიყრის საყვარელ ქალზე, სირცხვილით არ იგონებდეს თავის ძველ სიყვარულს.
- რაც უფრო მეტად გვიყვარს ქალი, მით უფრო მეტ საბაბს ვეძებთ მის შესაძულებლად.
- ზოგი კაცი მხოლოდ იმიტომ იყვარებს ქალს, რომ ამდენი სმენია სიყვარულზე.
- თავდაჭერილობა ქალებისთვის იგივეა რაც ფერუმარილი, რომელნიც ამითი სილამაზეს ამკობენ.
- ქალების უმანკოება ზოგ შემთხვევაში სხვა არა არის რა, თუ არა, სახელისა და სიმშვიდისათვის ზრუნვა.
- პატივმოყვარეობა, სირცხვილი და უწინარეს ყოვლისა, ტემპერამენტი, აი რა განაპირობებს უმეტესწილად მამაკაცთა სიქველეს და ქალურ სათნოებას.
- ხშირ შემთხვევაში ქალებს უსიყვარულოდ ჰგონიათ, რომ შეყვარებული ვართო; ინტრიგით გატაცება, სიყვარულის მძაფრი წყურვილი, ვნებით ღელვა სასიყვარულო თავგადასავლებით გამოწვეული, შიში იმისა, რომ ვაითუ უარით შეურაცხყონ კაცი – ყოველივე ეს მათ აფიქრებინებს, მართლა გვიყვაროსო, თუმცა სინამდვილეში სიყვარულობას თამაშით არიან გართულნი.
- რა ძნელია თვალი გავუსწოროთ საყვარელ ქალს მას შემდეგ, რაც მას სხვასთან ვუღალატეთ.
- თავს იტყუებს ვისაც ჰგონია, თითქოს მხოლოდ იმიტომ უყვარს საყვარელი ქალი, რომ მას თავის მხრივ უყვარს იგი.
- წარმატება ისე შვენის სიქველეს, როგორც ძვირფასი სამკაული ლამაზ ქალს.

- კეკლუცები ისე იკატუნებენ თავს, თითქოს თავიანთ საყვარლებზე ეჭვიანობდნენ, რათა დამალონ თავიანთი შური სხვა ქალების მიმართ.
- ყმაწვილ ქალებს, რომლებსაც არ ჰსურთ კეკლუცების სახელი შეერქვათ და ხნიერ კაცებს, რომლებსაც არ ჰსურთ ქვეყნის თვალში სასაცილონი ჩანდნენ, სიყვარულზე საუბრისას თავი ისე უნდა ეჭიროთ, თითქოს ეს სულაც არ არის მათი საქმე.
- შეყვარებული ქალი უფრო ადვილად მოგვიტევებს დიდ უტიფრობას, ვიდრე სულ მცირე ორგულობას.
- ქალების უმრავლესობა იმიტომაა ასე გულგრილი მეგობრობის მიმართ, რომ სიყვარულთან შედარებით ეს გრძნობა მეტისმეტად მტკნარი ეჩვენებათ.
- ბობოქარ ვნებათა შორის ქალს ყველაზე მეტად შვენის სიყვარული.
- როცა ქალს პირველად უყვარს, მას უყვარს თავისი შეყვარებული, შემდეგ მას უყვარს სიყვარული.
- უფრო ძნელია უერთგულო იმ ქალს, ვისთანაც ბედნიერი ხარ, ვიდრე იმას, ვინც გაჩენის დღეს გვაწყევლინებს.
- ქალებს წარმოდგენა არა აქვთ, თუ რაოდენ უსაზღვროა მათი სიკეკლუცე.
- ქალის სიმტკიცე ურყევია მხოლოდ იმის მიმართ, ვინც ეზიზღება.
- ქალები უფრო ადვილად იოკებენ თავიანთ ვნებას, ვიდრე კეკლუცობას.
- რა ეშველება იმ ქალის სულს, ვისი ტემპერამენტიც ვერ ეგუება მისსავე სულსა და გონებას?
- სიყვარულის ყველაზე დიდი სასწაული ისაა, რომ იგი სიკეკლუცისაგან ჰკურნავს ქალებს.
- როცა ქალსა და კაცს ერთმანეთი აღარ უყვართ, ძალზე უჭირთ გამოჩხრიკონ გაყრის მიზეზი.
- ღირსეულ კაცს შეიძლება გაგიჟებით უყვარდეს ქალი და გიჟსაც ჰგავდეს, მაგრამ არა ბრიყვს.
- ამქვეყნად ცოტაა პატიოსანი ქალი, რომელსაც თავს არ აბეზრებდეს თავისი პატიოსნება.
- თითქმის ყველა პატიოსანი ქალი საგულდაგულოდ გადამალულ საუნჯეს ჰგავს, რომელსაც ვერავინ მიაგნო, მხოლოდ იმიტომ, რომ არავის უძებნია.
- იშვიათია ისეთი ქალი, ვისი ღირსებაც მის სილამაზეზე უფრო დღეგრძელი იყოს.
- მითქმა-მოთქმა მხოლოდ მას შემდეგ ახსენებს ქალს თავის პირველ საყვარელს, როცა მან უკვე მეორე გაიჩინა.
- ქალების უმრავლესობა ჭკუას კეთილგონიერებისთვის იმდენად არ იყენებს, რამდენადაც თავის უგუნურების გასამართლებლად.

ფრანსუა დე ლაროშფუკო

- ქალი ხომ მიწის კუთვნილია და არა ზეცის –
  და მიჯნურისთვის ამოუხსნელ ქარაგმად რჩება.
  ბუნებამ ასე განაჩინა: სხეული მისი
  უფრო ნაზია, უფრო სუსტი, უფრო სათუთი,
  არც ჭკუა მოსდევს უფრო ღრმა და უფრო ნათელი.

ჯაკომო ლეოპარდი

- მთელს კაცთა მოდგმას ერთი ანჩხლი ქალი ჰყოლია, ყველა მამაკაცს ის თავისი ცოლი ჰგონია.
- ქალიშვილია? ანგელოსია! ყველა ღირსებით გარემოსილი!
  რა აკლიაო? მე თქვენ გეტყვით რა არ აკლია?
  ქმარი, შვილები და ოჯახი, რაც მთავარია.
- ზოგიერთი ისეთი საგანია, რომელსაც დედაკაცის თვალი უფრო ადვილად შეხედავს, ვიდრე ასი თვალი მამაკაცისა.

გოტჰოლდ ეფრაიმ ლესინგი

- დედაკაცი არის არა სუსტი, არამედ რაღაც მომლოდინე სქესი.
- ქალი სინამდვილედ ქცეული ულამაზესი სიზმარია მამაკაცისა.

ჰანს ლობერგერი

- ვინც არ არის ქალის, ღვინის და სიმღერის მსურველი, აღსასრულის დღემდე ის იქნება სულელი.

მარტინ ლუთერი

- გიყვარდეთ და პატივი ეცით ქალს. ეძიეთ მასში არა ოდენ ნუგეში, არამედ შთაგონების ძალაც, ზნეობრივი და გონებრივი უნარის წყაროც.
- დედაკაცი და მამაკაცი – ესაა ორი ნოტი, ურომლისოდაც ადამიანის სული სრულ და სწორ აკორდს ვერ შექმნის.

ჯუზეპე მაძინი

- სამოთხე იყო...
  დედაკაცმა დაგვაკარგვინა,
  საწმისი იყო...
  დედაკაცმა დაგვაკარგვინა
  დანაშაული
  თუ გიყვარდე
  მეტი რა გინდა?
  სამაგიეროდ
  დიაცმავე იესო გვიშვა,

სამაგიეროდ
დიაცმავე რუსთველი გვიშვა,
ეს კი, მე მგონი,
თუ შენც იტყვი,
ცოტას არ ნიშნავს.

მუხრან მაჭავარიანი

- ქალი დღისით ღირსებებისათვის უყვართ, ღამით – მანკიერებისათვის.

კონსტანტინე მელიხანი

- მამაკაცი იცრემლება მოახლოებული სიკვდილის გამო, ხოლო ქალი იმის გამო, რომ ძალიან დიდი ხნის წინათ დაიბადა.

ჰენრი ლუის მენკენი

- დიდი სიყვარული ქალის ხვედრი არ არის, რადგან ეს ქმნილება არ ღირს იმად, რომ იგი ბრძენმა და მამაცი გულის მამაკაცმა შეიყვაროს.

მიქელანჯელო ბუონაროტი

- ქალი პატიებას არ გაპატიებს.

სომერსეთ მოემი

- ყველაზე მარტივი ქალიც კი მამაკაცის გონების მიღმა დგას.

ანდრე მორუა

- ნაკლოვანება სილამაზისა დედაკაცს ხშირად ხელს უწყობს ჭკუითა და გონებით განვითარდეს.

პოლ მონტი

- ქალისა და მამაკაცის სიყვარული ნებაყოფლობითი ხელშეკრულებაა, მის დამრღვევს მხოლოდ ღალატში ედება ბრალი, მაგრამ დედა რომ გახდება, ქალის მოვალეობა იზრდება, რადგან ბუნებამ მას შთამომავლობის ბედი ანდო.

გი დე მოპასანი

- ქალის გულწრფელობა იმის საბუთია, რომ მას არაფერი აინტერესებს.

ჰ. ნარი

- ბევრი ქალია, ელამიც არის, უცხვირპიროც, დიდტუჩაც, მაგრამ მაინც გულს გიხიბლავს და გიტაცებს ხოლმე. რითა? მარტო სახის მეტყველებითა.

შიუტ ნევილი

- ჭეშმარიტება იქნება ქალია, რომელსაც აქვს უფლება თავის ფსკერში არ ჩაგვახედოს.
- ქალს არ შეუძლია მეგობრობა, მხოლოდ სიყვარული იცის;

  რაც სიყვარულს მიღმაა, იმის მიმართ ქალი განურჩეველია.
- ყველაფერი ქალისა გამოცანაა და ყველაფერს ქალისას ერთი ახსნა აქვს, ესაა ორსულობა.
- ძალზე ტკბილი ნაყოფი არ უყვარს მეომარს, ამიტომ უყვარს ქალი; ყველაზე ტკბილ ქალსაც კი მომწარო გემო დაჰკრავს.
- ქალი მამაკაცზე უკეთ უგებს ბავშვებს, მაგრამ მამაკაცი ქალზე უფრო ბავშვია.
- საერთოდ ქალს ღირსების ცოტა რამ გაეგება. უფრო გიყვარდეთ, ვიდრე უყვარხართ და ნურასოდეს იქნებით მეორე, – აი რა არის ქალის ღირსება.
- დე, მამაკაცს იმ ქალის ეშინოდეს, რომელიც უყვარს, რადგან ქალი მზად არის მსხვერპლი გაიღოს. სხვა დანარჩენს კი მისთვის ფასი არა აქვს.
- მამაკაცის ბედნიერებას ჰქვია: მე მსურს. ქალის ბედნიერებას – მას სურს.
- "აი ახლა გახდა სამყარო სრულყოფილი", – ასე ფიქრობს ყოველი ქალი, ოდეს სიყვარული ეუფლება.

ფრიდრიხ ნიცშე

- ქალი ის არის,
  ვინც რომ ნათლად სჯის
  და არ მიჰყვება ამ სოფლის ცთომას;
  ვინცა ნათლად გრძნობს
  და ვინც არ დასთმობს
  მისთვის თვის დიდსა მოვალეობას.

ვახტანგ ორბელიანი

- საჭურისის და დიაცის გული უსუსურია.

სულხან-საბა ორბელიანი

- უდიასახლისო ოჯახი უსახურავო სახლია.

ოსური ანდაზა

- დედაკაცი ყმაწვილთათვის საყვარელია, ხნიერისათვის – მეგობარი, მოხუცთათვის – ძიძა.

ოქსენოტიერი

- ყოველნაირი ქალი ბოროტებაა, მაგრამ ის თავი ცხოვრებაში ორჯერ იქნება კარგი: ან სასიყვარულო სარეცელზე ან სიკვდილის წინ.
- ზევსმა ცეცხლისთვის გვიბოძა ორმაგი ცეცხლი – ქალები.
  ნეტავი სულაც არ იყოს ქვეყნად არც ცეცხლი, არც ქალი!
  ცეცხლის ალს მალე ჩააქრობ, ქალია ჩაუქრობელი:
  რამდენიც უნდა დაშრიტო, იმდენჯერ ახლად გედება.
- ჰომეროსმა ასე ბრძანა, არ ინდობა დიაციო!
  გინდ მეძავი, გინდ უმანკო – არის ყველა დამღუპველი.

პალადი

- ჩემი ნება რომ იყოს, ქალებს მსოფლიოს მართვის ნებას მივცემდი.

ლუჩიანო პავაროტი

- თუ ორი კაცი და ერთი ქალია, ყველაფერი რიგზეა. თუ ორი ქალი და ერთი კაცი შეიყარა, შეიძლება ქალებმა ერთმანეთი დაჭამონ.
- ქალის ყველაზე ძვირფასი სამკაული სხვა კაცის ყურადღებაა.

გლორია პერესი

- ისე არაფერი უწყობს ხელს დედაკაცის სახელის გატეხას, როგორც უმართებულო გამომეტველება სახისა.

პისიო

- *ქალი ან ღმერთია, ან – ჩვარი.*
  ცხოვრებას მხოლოდ სამუშაო და ქალები მიხანგრძლივებენ.

პაბლო პიკასო

- ეს, ვაშლს გესვრი, დაირჩინე, თუ თანახმა ხარ
  ჩემს სიყვარულზე,
  თუ განმიწილებ სიტკბოს შენის სიქალწულისა.
  თუ არა – მაინც დაირჩინე:
  დაე მან გითხრას, რა მოკლეა ყვავილის ხანა.
- მე – ლაიდა ვარ, ქალმცინარე, მთელი ელადის
  შეყვარებულ ვაჟთა ჯარი მედგა კარებთან.
  ახლა, პაფია! ჩემი სარკე შენთვის მიძღვნია, –
  აღარ მჭირდება; რაც ვარ იმისი დანახვა არ მსურს,
  ხოლო რაც ვიყავ, კვლავ ის ვიყო, არ შემიძლია.

პლატონი

- სიყვარული ქალის მთელი სიცოცხლეა და მხოლოდ ერთი ეპიზოდი კაცის ცხოვრებაში.
- ქალი საოცარი ნაერთია სიჯიუტისა და თავგანწირულობისა; ქმრის გულისთვის იგი დასთანხმდება თავი წააჭრან, ოღონდ თმები კი არა.
- სიყვარული დედაკაცისთვის ცხოვრებაა, მამაკაცისთვის მარტო ამბავი ცხოვრებისა.

ჟან პოლ სარტრი

- ქალის ბუნების არსია სურვილი, რომ მოგვეწონოს და სურვილი, რომ გვიბრძანოს. ეს მეორე პირველის მიზანია.

პოპი

- . ქალი ის არსებაა, რომელმაც თავისი თავი თვითონვე იპოვა.

ჟან ჟიროდუ

- ქალი ან უნდა გააღმერთო, ან უნდა მიატოვო, სხვა ყველაფერი – სიყალბეა.

ერიხ მარია რემარკი

- დედაკაცი ბნელი, მიწიერი წიაღია და მარად ელის მზიურ, მამაკაცურ ელემენტს – თესლს. დედაკაცი წიაღია – განაბული, უძრავი.

გრიგოლ რობაქიძე

- თუცა მართებს დედაკაცსა, მამაკაცის დიდი კრძალვა,
  მაგრამ მეტად უარეა, არა თქმა და ჭირთა მალვა.
- დიაცსა სამალავი არათანა არ ითხრობის.
- ლეკვი ლომისა სწორია ძუ იყოს თუნდაც ხვადია.
- ჰმართებს დედაკაცს მამაცისა დიდი კრძალვა.

შოთა რუსთაველი

- ზნეობრიობა სიყვარულში საზოგადოების მიერ მოგონილი ხელოვნური გრძნობაა, რომელსაც ქალები დიდი მოხერხებით და თავგანწირვით იყენებენ, რათა დაამ-კვიდრონ თავიანთი იმპერია, რომელშიც სექსი გაბატონებული ძალა ხდება და არა დამორჩილებული.
- სიყვარული მამაკაცისათვის ერთი მოწყვეტილი ამბავია, მისი ცხოვრებიდან ამოღებული, ქალისთვის კი მთელი ცხოვრების ისტორია.

ჟან ჟაკ რუსო

- სადაც ეშმაკი თვითონ ვერ შევა, იქ დედაკაცს შეაგზავნისო.
- ოჯახში რაც უფრო მეტი დედაკაცია, მით უფრო მეტი ცოდვა ტრიალებს.

რუსული ანდაზა

- როცა ქალი კარიდან შემოდის, მეგობრობა ფანჯრიდან გადის.

ემილიო სალგარი

- კაცი რიტმია, ქალი – მელოდია.

კარლოს სანტანა

- ისიც, რასაც ქალები მეგობრობით გვიწყალობებენ ხოლმე, სიყვარულისაგან არის ნასესხები.

საფირის ლექსიკონი

- გასათხოვარი ქალი ანგელოსია და ვაი თუ ეშმაკად იქცა.

სენ-ბიოვი

- ქალმა რომ იცოდეს, რა ძლიერი ფარ-ხმალია მისთვის სიმშვიდე და სიწყნარე, სხვა ფარ-ხმალს არასდროს იხმარდა.

სოლონი

- ყოველთვის ვფიქრობდი, ნეტავ რა მოევლინა ქვეყანას უფრო ადრე ყვავილი თუ ქალი?
  ამ ქვეყანაზე პირველად გაჩნდა ყვავილი და შემდეგ ქალი, რათა ყვავილის ყოფა გაელამაზებინა.

გივი სიხარულიძე

- დრო ქალის ვნებას აღვივებს, მამაკაცისას – ჰკლავს.
- ნამდვილი შეყვარებული მხოლოდ საყვარელი ქალის მოფერებაზე ოცნებობს.
- ყველაზე ჭკვიანი მამაკაცი უგნურს ემსგავსება, როცა უყვარს, ყველაზე უფრო ქარაფშუტა ქალი ჭკვიანდება, როცა შეიყვარებს.

სტენდალი

- არაფერი ისე არ აზიანებს სასიყვარულო კავშირს, როგორც იუმორის გრძნობა ქალში და უიმისობა მამაკაცში.
- ყველა დედაკაცი ცდილობს კეთილი მოქმედების გზაზე შეგვაყენოს, მაგრამ როცა მათი კეთილი სურვილის თანახმად კეთილმოქმედნი ვხდებით, მათ აღარ ვუყვარვართ.

- ქალებს ჩვენ ვუყვარვართ ჩვენი ნაკლოვანებების გამო.

- მამაკაცს ყოველთვის უნდა ქალის პირველი სიყვარული იყოს. ქალები კი უფრო შორს მიდიან და უნდათ მამაკაცის უკანასკნელი ვნების საგანი იყვნენ.

ოსკარ უაილდი

- როდესაც ცოლი ისწავლის ქმრის გაგებას, იგი მას არ უსმენს.
- ამ ქვეყნად ყველა ქალიშვილი ანგელოსია, მაინც საიდან გამოტყვრებიან ეს ალქაჯი ცოლები?
- ქორწინება ზღაპარია. იგი იწყება უფლისწულით, რომელიც ანგელოსს ჰკოცნის და მთავრდება ქაჩალი მამაკაცით, რომელიც ზორბა, ჩასუქებულ დედაკაცს გაჰყურებს მაგიდის მეორე მხარეს.

უცნობი ავტორები

- რა დელიკატურობაა: ქალი მსხვერპლს ქვემოდან შეჰყურებს.
- ქალი ჭორის საგანია, თუმცა მამაკაცი ნივთად ხმარობს.
- "ქალწულობის ინსტიტუტი" უნიკალური ფენომენია თუნდაც იმიტომ, რომ წერა-კითხვის უცოდინარ მამაკაცთა მოგონილია.
- ქალმა იცის, რომ ის მამაკაცის ნივთია, მაგრამ ეს სულ არ აღელვებს. მან ისიც იცის, რომ ყველა მამაკაცი ნივთების მონაა.
- ქალი უნიკალური ქმნილებაა: მას ძალუძს სხეულის ზედა ნაწილით ქვედას გაუკეთოს რეკლამა, უკანა ნაწილით – წინას.
- ქალი არასრულყოფილი იბადება – ყურის ბიბილოს დაბადების შემდეგ უხვრეტენ.
- თავი რომ ქალად იგრძნო, ამისთვის მამაკაცი სულ არ არის საჭირო.
- კარგი ქალიშვილები დღიურებს წერენ. ცუდებს ამისთვის დრო არ რჩებათ.
- ღმერთი ქალს რომ ერთ წელს მოუმატებს, თვითონ რამდენიმეს იკლებს და მერე ანგარიში ერევა.
- ყველაზე მეტად ქალში ბუნებრიობა მომწონს.
- მსგავსად იმისა, როგორც ყოველ მამაკაცში იმალება ბიჭი, გმირი, მიჯნური და ღმერთი, ყოველი ქალიც განასახიერებს ქალწულს, მეძავს და ქალღმერთს.
- ჩვილი ბავშვია სიყვარული, თავგანწირულ დედათა ხვედრი.
- ქალი ერთი მამაკაცისაგან ითხოვს ძალიან ბევრს, მამაკაცი ყველა ქალისაგან მხოლოდ ერთს.
- სამართლიანადაა მიჩნეული, რომ ვინმეზე ზრუნვა ქალის პიროვნების ერთ-ერთი ძირითადი თვისებაა.
- ბუნებამ ქალს მოვალეობად კაცობრიობის მოდგმის გადარჩენა – დაცვა დაუწესა.

- ქალი თხოვდება იმედით, რომ მამაკაცი შეიცვლება, იმედი იმედად რჩება. მამაკაცს ცოლი მოჰყავს იმედით, რომ ის არ შეიცვლება, ის კი იცვლება.
- ჩხუბში ბოლო სიტყვას ყოველთვის ქალი ამბობს, მამაკაცის ნათქვამი ბოლო სიტყვა ახალი ჩხუბის დასაწყისია.
- ქალი და მამაკაცი ერთ რამეში თანხმდებიან: ერთიც და მეორეც ყოველთვის ენდობიან ქალს და შეცდომასაც ჩადიან.
- ისტერიკა ქალის გართობის ერთ-ერთი საშუალებაა.
- ქალს ისე არაფერი უხდება, როგორც გემოვნებით შერჩეული კაცი.
- ქალებმა ყოველთვის უნდა იცოდნენ საკუთარი თავის ფასი, მაგრამ არასდროს ხმამაღლა არ უნდა სთქვან.
- ქალი ნერვიულობს და ფიქრობს თავის მომავალზე სანამ არ გათხოვდება. მამაკაცს კი არ აღელვებს თავისი მომავალი, სანამ ცოლს არ მოიყვანს.
- ქალს შეუძლია ყველაფერი, უბრალოდ, ზოგს რცხვენია.
- ქალის გაბედნიერება ძალიან ადვილია, ოღონდ ძალიან ძვირია.
- ქალი მამაკაცს როცა რჩევას სთხოვს, მას უბრალოდ ჰსურს ჰყავდეს მოსაუბრე.
- ლალატისას ქალი ეძებს საუკეთესოს, კაცი – ახალს.
- მამაკაცის შესანარჩუნებლად ქალს აქვს ყველაზე დიდი იარაღი – ხელები.
- ქალს არასოდეს ავიწყდება კაცი, რომელთანაც ძალიან კარგად გამოუვიდა სექსი და კაცს ქალი – რომელთანაც ძალიან ცუდად გამოუვიდა იგი.
- იმისათვის, რომ ქალმა მამაკაცთან ბედნიერებას მიაღწიოს, საჭიროა მას კარგად გაუგოს და ცოტათი უყვარდეს, ხოლო მამაკაცმა ქალთან ბედნიერებას რომ მიაღწიოს, საჭიროა ძლიერ უყვარდეს და ცოტა გაუგოს.
- ქალის დეკოლტეში 15 წუთით ყურება მამაკაცის ტვინში ისეთ ნივთიერებას გამოყოფს, რომელიც ქმნის შესანიშნავ განწყობას და სიცოცხლეს უხანგრძლივებს მას.
- არსებობს მოსაზრება, რომ ფერომონს (მამაკაცის ამგზნები ნივთიერება) ყვითელთმიანი ქალები უფრო მეტი რაოდენობით გამოყოფენ, ვიდრე სხვა ფერისანი.
- მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული სახელია – ანა – იგი 95 მილიონ ქალს ჰქვია.
- ქალური სისუსტე კომპლიმენტებისადმი იმით აიხსნება, რომ ისინი მშვენიერი სქესის მნიშვნელოვან პიროვნულ მოთხოვნებს – მოწონებას, აღტაცებას, ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას – მთლიანად აკმაყოფილებს.
- უფერული და ჩვეულებრივი გარეგნობის ქალები პირად ცხოვრებაში ბედნიერები არიან.
- შეყვარებულ ქალს ჯანმრთელი ძილი აქვს.
- ასაკი ჩემი სამკაულია.
- 45 წელი ქალისთვის საუკეთესო ასაკია.

- ვერდით თუ მამაკაცი ჰყავს, ქალს ასაკზე ფიქრისათვის აღარ უნდა ეცალოს.
- ქალის და მამაკაცის მეგობრობას ძლიერ აქვეითებს დაღამება.
- ქალი გულგრილია იმის მიმართ, ვისაც უყვარს და უყვარს ის, ვინც გულგრილია მის მიმართ.
- როცა პირველად ნებდება, ქალი ფიქრობს, რომ მამაკაცს მისცა მთელი სამყარო; მამაკაცს კი ჰგონია, რომ მიიღო სათამაშო; ქალი ფიქრობს, რომ მისცა მარადისობა, მამაკაცს ჰგონია, რომ მიიღო წუთი.
- ქალთან ლაპარაკი ხშირად მეტ ცოდნას გვაძლევს, ვიდრე მეცნიერთან საუბარი.
- თუ ახალგაზრდა, კეკლუცი ქალიშვილი ადრე იწყებს სიყვარულს, იგი ეჩვევა გრძნობათა მღელვარებას, ხოლო როცა ნამდვილი ვნების ასაკს მიაღწევს, სიახლის მომხიბლაობა აღარ არსებობს მისთვის.
- არ დაიბადო ლამაზი და მიაღწევ ბევრს. ნურვის შეიყვარებ და ყველას მოეწონები, არაფრად მიიჩნიო მსოფლიო და აუცილებლად შეგამჩნევენ.
- ქალი ჩრდილივითაა: აედევნები – გაგექცევა, გაექცევი – აგედევნება.
- ქალის ბუნება ოკეანეს ჰგავს – იგი ღრმაა და ბევრ საიდუმლოს იტევს.
- ქალებს ალერსი მაშინაც სწყურიათ, როცა კაცს საქმე მოთავებული ჰგონია.

სხვადასხვა ავტორები

- ყველაზე უსიხარულოა იმ ქალების ხნიერება, რომელთა ღირსება მხოლოდ სილამაზეა.

ბერნარდ ლებოვიე დე ფონტენელი

- ქალის ეჭვიანობა სხვა არაფერია თუ არა შელახული თავმოყვარეობა.

ანატოლი ფრანსი

- ჩემიას ქალის მოტანილი ჩემიასვე ქალმა შეჭამაო.
- ცუდი ქალი კერას მიაგვის ნაგავსაო.
- ცხრა დედაკაცის ჭკუა თხილის ნაჭუჭში ეტეოდაო.
- ქალს მოკლე ჭკუაც ჰქონდა და ისიც თხამ შეუჭამაო.
- ცხრა ძიძის ხელში ბავშვი შიმშილით მოკვდებაო.
- ვერ შეამაგრებ ქალსაო, თუ ვერ იმაგრებს თავსაო.
- ქალი სხვისი კედლის ქვააო.
- ყველა ფრინველი ფრთით ფრინავს, ქალი კი ქმრითაო.
- ფათხოვილი ქალი დედმამისას რომ მივა, ფილთაქვაც იმალებაო.
- ფასათხოვარი ქალებით სავსე ოჯახს მგლებით სავსე ოჯახი სჯობიაო.

- დედაკაცი და ეშმაკი ორივე ერთია.
- დედაკაცის შარიო, მოვარდნილი ღვარიო.
- დედაკაცმა გაიწია და ცხრა უღელმა ხარმა ვერ დააკავაო.
- დედაკაცს უთხრეს – ცაში ქორწილიაო, – კიბეს მივადგამ და ავალო.
- ერდოს მამალი არ დაამძიმებს, დედამიწას – გასათხოვარი ქალიო.
- თავგასულ ქალს ბალახმორეული ყანა სჯობიაო.
- თუ დედაკაცმა გაიწია – ამირანს აითრევსო.
- კაი ქალს თავი სთხოვე, თუ არ მოგცემს – არ გაგცემსო.
- კაპასმა ქალმა ძაღლი დააბა და ის აყეფაო.
- მორცხვი ქალი – ერთ ქალად, მორცხვი კაცი – ერთ ქალამნად.
- მძიმე ქალი ოქროს ფასი, მსუბუქი ქალი – ფოთლის ფასი.
- ქალი სხვისაა და არა დედ-მამისაო.
- ქალის პატივი ძაღლმაც იცისო.
- ქალს ჭკუა თვალში აქვსო.
- ქალს ძაღლიც არ დაჰყეფსო.
- მშვენიერება მამაკაცისა მისი ჭკუაა, ჭკუა დედაკაცისა მისი მშვენიერებაა.
- წელმოწყვეტილსა დიაცსა, არ დაელევა ჭირია.
- ქვეყანაზე ათი წილი ნდომაა: ერთი წილი კაცსა აქვს, დანარჩენი – დედაკაცისაა.
- ქალები ჩვენი ცხოვრების ჭახრაკებიაო.
- ქალი გვარით საძებარიაო.
- ქალი ვიდრე გათხოვდება – მღერის, რომ გათხოვდება – ტირისო.
- ქალი მამულითა, ვაჟი – დედულითაო.
- ქალი სუსტია, დედა – ძლიერიაო.
- ქალი სხვაგან ბედს ეძებდა და ბედი შინ ელოდაო.
- ქალი სჯობს შეუხედავი ჭირ-საძრახიან ლამაზსაო.
- ქალი ქებით გათხოვდაო.
- ქალი ქმარს სწუნობდა, იყო მის იმედსაო.
- ავი დიაცი ჯამ-ჭურჭელსაც წვრთნას დაუწყებსო.
- ქალო, შენი სილამაზე იცოდე რომ არ შეგრჩება.
- როცა დედა დედინაცვალია, მამაც მამინაცვალიაო.

ქართული ანდაზა

- ქალებს საშინლად ეჯავრებათ მამაკაცები, რომლებიც, განურჩევლად ყველას ეარშიყებიან.

დიმიტრი ყიფიანი

- მამაკაცი საყვარელი ქალისთვის უფრო მოკვდება, ვიდრე მასთან იცხოვრებს.
- ქალის გამო საყვარელი ფულს ეთხოვება, დონ-ჟუანი – სხვა ქალს.
- მამაკაცმა რამდენი ცუდიც არ უნდა იფიქროს ქალზე, ნებისმიერი ქალი მასზე გაცილებით ცუდს იფიქრებს.

შამფორი

- მოთმინება დიაცს უხდება.
- არარაობავ! დედაკაცი უნდა გერქვას შენ.
- ფარ-ხმალი დედაკაცისა – ცრემლია.

უილიამ შექსპირი

- თუ შენ თავის დღეში არ გინახავს მშვენიერი ქალი სევდიანი და დაღონებული, ნუ იტყვი მშვენიერება მიხილავსო; თუ ქალის სახეზე არ წაგიკითხავს სიხარული, ნუ იტყვი – სიხარული მინახავსო.
- მამაკაცები სხვაგვარად სჯიან, ქალის სასჯელი – სიყვარულია.
- თუ ქალს არ უყვარს, იქ სასიკვდილო განაჩენია გამოტანილი.

შილერი

- ლორთქო ბალახი ლამაზია არა თავისით,
  მხოლოდ იმიტომ, რომ გოგონამ ჩამომიტანა.

ში-ძინი

- ყველა კაცი ერთნაირია იმ ქალის მიმართ, რომლითაც მოხიბლულია.

ბერნარდ შოუ

- ცრემლი დედაკაცისა წყალია, რომელშიც დნება მხნეობა მამაკაცისა.
- ხშირად ქალი მარტოდენ იმიტომ იბუტება, რომ ხელახლა შეგვირიგდეს.

შტეტენჰემი

- ქალები მაშინაც კი როცა დანებების სურვილით იწვიან, ჩვეულებრივ, თავს იკატუნებენ – თითქოს შეეშინდათ ან აღშფოთდნენო, იციან რომ მათი ეს უარი დაძლეული იქნება მუდარით, სიყვარულის ფიცით, დაპირებებით.

შტეფან ცვაიგი

- *ქალი ბურჯი და ქვაკუთხედია როგორც კერძოდ ოჯახის, ისე საზოგადოებისაც, მთელი მისი ქვეყნის, მისი სამშობლოსი... ნეტავი იმ ერს, რომელსაც კარგი ქალები ჰყავს.*
- *დედაკაცის სიყვარულში მხოლოდ გული მუშაობს და მამაკაცის სიყვარულში გულს თავიც ეხმარება.*
- *როგორც ყვავილს ნამი, ისე ესაჭიროება ქალს სიყვარული.*

აკაკი წერეთელი

- ქალი ყველაფრის მკურნალია.
- ღმერთმა ნუ ქნას საქართველოში ქალი იყოს თამადა.

ბორის წიფურია

- დედაკაცი ბურჯი იყო ჩვენის მამულის და მამაკაცი – ზღუდე – გალავანი.

ილია ჭავჭავაძე

- არ ეშინია ქალს მამაკაცის, მოსაჩვენებლად შეკრთება ხოლმე.

ოთარ ჭილაძე

- მამაკაცს ათასი ქალის განაყოფიერება შეუძლია. ქალი კი ერთი ნაყოფის მატარებელია. ამიტომ უფრთხილდება ბუნება მას.
- ქალს თუ ხანდაზმულობაში მეუღლე გარდაეცვალა, უფრო მეტხანს ცოცხლობს, რადგან საზრუნავი აკლდება.
- ძველი ბერძნები, როცა საბრძოლველად მიდიოდნენ, ქალს მოიწვევდნენ ხოლმე, რადგან ქალი ცხვირწინ რა ხდება იმას ხედავს, მამაკაცი კი უფრო შორს იხედება.
- მითი ქალის სიცბიერის შესახებ მამაკაცების მოგონილია.

ნოდარ ჭიჭინაძე *(ანდროლოგი)*

- ღვინის და ქალის ტრფობის ცნებას ვინც კი იცავს, გაემიჯნა იგი ჰაერს, წყალს, ცეცხლსა და მიწას.

ომარ ხაიამი

- წასვლა სჯობს წარმავალისა
  არ დახანება ხანისა

კოცნა სჯობს თეთრი ქალისა,
ჩახვევა შავგვრემანისა.

- ყველა ფრინველი ხეზე ზის,
  მწყერი მიწაზე გოგდება:
  ქალი არ გინდა უცხო მხრის –
  დასნეულდება მოკვდება.
- ყანა სამკალად მშრალი სჯობს სველსა და ჭანჭახიანსა,
  ქალი ცუდაი – ლამაზსა, ჭორიან-საზრახიანსა.
- ძნელია სიყვარულობა ახლო მეზობლის ქალისა,
  წაიღო ჭკვა და გონება, ორთავ სინათლე თვალისა.
- ქალი რო შამაგეყაროს, აარიდოდე თვალიო,
  ნდომას ნუ შაატყობინებ, მეეწონება თავიო.
- ქალს ნუ ჰკვლევ ჯვარობაშია, ტანთ ნათხოვარი აცვია,
  ქალი თუ გინდა ლამაზი, დაჰკვლიე ქერის მკაშია.
- ფქმრუაოს ქალის გული მინდორთ გახრის ქარივითა.
- იმედამა თქვა ქართული, მიტეხ-მოტეხა ბუნება:
  “ქალი რომ დაიკოკრება, შინ აღარ უნდა ბრუნება”.
- სიყვარულიმცა კრულია მეზობელშია ქალისა, –
  რო არა მესაქმებოდეს, ჩავლა გინდარის კარისა.
- ფაჟსა რო ცოლი მაუნდეს – ფანდურსა დაუამდება,
  ქალსა რომ ქმარი მაუნდეს – შინ ჯალაბთ გაუავდება.
- ეს ჩვენებური ქალები ქარივით ჩამოჰქრიანო,
  დაგვისხდებიან ბატონად, სახლსაც არ დაგვიგვიანო,
  თითო ყმაწვილს გაგვიჩენენ, ბუზღუნით გამოზრდიანო.
- არა მწამს რა დიაცისა, როგორც მოწმენდილი ცისა, –
  დღეს რომ თავზე გევლებოდეს, ხვალ გახდება უცებ სხვისა.
  არ ვიცი, დანა მრუდია, არ ვიცი დანის ტარია:
  არ ვიცი, ქალი არ ვარგა, არ ვიცი ქალის ქმარია?
- როსტომ სთქვა: “იმ მთას, ამ მთასა ხელს მოვკრამ ერთად თავს ვუზამ,
  ათას ლიტრასა რკინასა კბილს მოვუჭერ და კნაპს ვუზამ,
  ადიდებულსა არაგვსა დავაყენებ და ყლაპს ვუზამ,
  თავაღებულსა დიაცსა გავუშვებ, ვეღარას ვუზამ.
- ყმა გავლილ-გამოვლილი სჯობს, ქვეყნიერებანახული.
  ქალ – მამის კერას ნაჯდომი, საქმარედ თავშენახული.
- ქალი ეშმაკზე ერთი დღით ადრეა დაბადებული.
- ფაჭირვებამ დედოფალთან დამაწვინაო.
- რა კარგია ქალაია, ტანთ რომ აცვავ დარაია,

თუ ქალი თავად არ ვარგა, დარაიაც არაია.

- ვითომ მშიშარა არა ვარ, ბიჭი ვარ აფთარივითა
  მაგრამ შენს ახლოს რა მამდის, რადა ვარ დამზრალივითა.

ხალხური

- შენ შეცდენილი ხარ ანგელოსი,
  მაგრამ რატომღაც ქალს გეძახიან.

ვახტანგ ხარჩილავა

- სიყვარულის ნამდვილი ფასი მხოლოდ ქალებმა იციან.
- მამაკაცებს ხუთი გრძობა აქვთ, ქალებს მეექვსეც მოეპოვებათ.
- ჩვენ მამაკაცები უსიყვარულოდ როგორმე გავძლებთ, ხოლო ქალს რომ სიყვარული გამოაცალოთ, კაბის მეტი ხელში არაფერი შეგრჩებათ.

მიხეილ ჯავახიშვილი

- სრულყოფილი ქალიშვილი 50 წელში ერთხელ იბადება.

ჰაროლდ ჯეფრისი

- მარჯვედ ვინც იქნევს, მისია ხმალი
  ვისთანაც არის, მისია ქალი.

ჰამერი

- ყველაზე მცირე, რაც შეუძლია დედაკაცმა მოგცეს, ესაა მისი სხეული.

ვიქტორ ჰიუგო

პოეტური სიტყვა ქალზე

როცა ქალზე ლაპარაკი გსურს, კალამი ცისარტყელაში ამოავლე და პეპლის ფრთები ზედ დააბერტყე.

დენი დიდრო

● რა დამავიწყებს შენს ლამაზ თვალებს,
რამ დამავიწყოს ეგ ალუბლები,
იცოდე, როცა სხვას შევიყვარებ
ამ სიყვარულზე ვესაუბრები.

ლადო ასათიანი

● შევიშრობ ცრემლსა ჭირთ მანელებელს,
გულსა დავიწვავ დასანაცრებელს,
და მისსა ფერფლსა, ვითა საკმეველს,
შევწირავ სატრფოს, ჩემსა სალოცველს.

ნიკოლოზ ბარათაშვილი

● [illegible] მინდა შეგიმკო თმები გვირილით
მაგრამ შორსა ხარ ჩემგან ძალიან;
ჩემი სიცილი, ჩემი ტირილი
იცოდეს ყველამ – შენი ბრალია.

ხუტა ბერულავა

● შენმა გონებამ მიმამსგავსა მილეულ მთვარეს,
სიცოცხლის ნაცვლად მოვინატრი სიკვდილსა მწარეს.

ბესიკი

● ღმერთმა შეგინდოს შენ უღმერთობა,
ჩემი ბედით რომ ასე ერთობი!..
მე მტანჯავს შენი ერთადერთობა,
და ვცოცხლობ შენი ერთადერთობით.

ზაურ ბოლქვაძე

● რად დავავიწყდი ამ ლამაზ მინდორს,
ასე ყველაფერს დრო რად მიუდის?
აქ ხომ ღობეზე ეწერა ერთ დროს –
ჩემი სახელი რომ შენსას უდრის.

ვიქტორ გაბესკირია

● მე მოვალ თქვენთან აპრილის მერე,
მაისის ვარდებს მოვყვები თქვენთან.
ისევ საკუთარ რწმენის დამჯერე,
ისევ მოდავე კაცთან და ღმერთთან.

იმედო გაბისონია

● ეჯ შენი თვალი, დაუნდობი, გულს გამიყინავს,
ეგ შენი თვალი იამაყებს ჩემი ტკივილით.

ვალერიან გაფრინდაშვილი

● მგზავრი ვარ, შენზე ფიქრებს ვუნდები
და აჩრდილებთან თამაშს უვნებელს,
მე დავბრუნდები, მე დავბრუნდები,
მე შენი თმები დამაბრუნებენ.

მირზა გელოვანი

● ლამე მიყუჩებს გულის იარებს,
ფიქრი მეხვევა ლამაზ ნისლებად.
ჩემი ოცნების თბილი მდინარე –
შენი თვალების შუქით ივსება.

აკაკი გეწაძე

● დაღონებული და მარად სუსტი
სარკესთან ფიქრობ როგორც დიანა;
ახლაც შორეულ მეგობარს ვუცდი,
რომელმაც ასე დაიგვიანა.

ტერენტი გრანელი

● მინდა ცისკრის ციმციმზე
შენ ერთს გიძღვნა თაყვანი
და დავლოცო ქართლის მზე –
ლამაზების აკვანი.

იოსებ გრიშაშვილი

● უნდა მომაშთოს
შენი ყელის მაღალმა ცეცხლმა, –
მე არ ვინატრი
უფრო ლამაზ თავგადასავალს.

ალი გუგუციძე

● ზამთრის ყინვა ვერ მაშინებს,
შენ რომ გხედავ მაშინ მცივა,
მე ჭამა-სმა აღარ მახსოვს, –

შენი სიყვარული მშივა.

იეთიმ გურჯი

- და უშნო, როგორც შიმპანზე
  ვწევარ და ვგევარ იმ ფაზას, –
  რომელშიც დენი არაა, –
  შენ რომ არა ხარ ძვირფასო!

ბათუ დანელია

- მუდამ ვეცდები – თუკი გადავრჩი, –
  ვაფრთიანებდე სურვილს უცოდველს...
  და ჩემს გზას, შენსას თუ არ გადასჭრის,
  ნაბილიკარსაც აღარ ვუწოდებ!

ზურაბ დანელია

- თუ შეგიყვარდა და ის წავიდა
  აღარ იწყინო, არც გაგიხარდეს,
  სჯობს მოიშორო ფიქრიც თავიდან,
  მაგრამ ის ქალი მაინც გიყვარდეს.

გია ერქვანია

- შენ თუნდ ფრჩხილიც ნუ აგტკივა
  სიკვდილს მივცემ სიცოცხლესა;
  ერთხელ კიდევ დამენახვე,
  ღმერთი დედას გიცოცხლებსა.

ვაჟა-ფშაველა

- მე რომ შემეძლოს ქვათა ღაღადი
  ან გადაქცევა ძეგლთა ხელოსნად, –
  მარმარილოში გამოგსახავდი,
  კაცობრიობას ზედ რომ ელოცა.

ანდრო თევზაძე

- სიცოცხლეს შენგან მოველი,
  უკვდავება ხარ ცხოველი.

დიმიტრი თუმანიშვილი

- ომარ ხაიამ!
  სურები შექმნეს შენი ტალახით

ღვინო მოულხენს ყელმოხატულებს...
შენი სუნთქვაა ლურჯი ბალახი,
ფეხს რომ უკოცნის ლამაზ ხათუნებს.

ანა კალანდაძე

- ეს როდის იყო, ნეტავი როდის?!
ათი წლის ბავშვი მე თუ ვიყავი,
მას აქეთ ჩემთან ქალწული მოდის
ჩემი დამხრჩობი და გამრიყავი.

შალვა კარმელი

- ვერ ამოვედი შენი ხარკიდან,
შენი გულიდან, შენი სარკიდან,
უნეტარესო და უმწარესო,
ყველა მიწიერ დასაკარგიდან.

ემზარ კვიტაიშვილი

- იქნებ გაგცვალო, იქნებ გამცვალო,
არავინ იცის რა ხდება მაზეგ,
დღეს რომ მიყვარხარ, შენ გენაცვალე,
არ მყვარებიხარ არასდროს ასე.

გურამ კლდიაშვილი

- დაჯექ, დაჯექ ყვავილებს
სულ თავზე რომ ევლები,
შენ გგონია ფრთებს გატკენ
მხოლოდ მოგეფერები.

ზურაბ კუხიანიძე

- როგორც ხმალი, ძმებო, ტამერლანისა,
სიყვარული ისე დამჯახებია:
მე მივსტირი ღამეს ზამბახებიანს
და სიყვარულს ათაბაგის ქალისას;
ძუძუები ოქროს კალმახებია,
წამწამები აქვს თავთუხის ყანისა.

გიორგი ლეონიძე

- შენ არ გივლია არასდროს კენტად
და თუ გოლგოთა საწოლზე დაგცემს, –
იმ ყაჩაღივით ვიქნები შენთან,

იესოს გვერდით ჯვარზე რომ აცვეს.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

- დაგეძებ, სად არ დაგეძებ
  შენ მენატრები როგორ
  ნიბლიასავით თოვაში,
  არ გამეყინო, გოგო!..

ოთარ მამფორია

- მან არ იცის, მე თუ მისი
  სახე, მივლის, ვით მაისი;
  ვით ბულბული ვარდს დავხარი;
  ვით ზამთარი მზრავს მე ისი.

დავით მაჩაბელი

- ქალია დილა,
  მიწა – ქალი
  საღამო – ქალი...
  წვიმა ქალია
  ყველაფერი ქალივით მიყვარს
  და როცა ვინმე
  ჩემზე უკეთ
  ადიდებს დილას –
  ასე მგონია,
  მე რომ მიყვარს
  მართმევენ იმ ქალს.

მუხრან მაჭავარიანი

- და გათენებას აღარ ვინატრებ,
  ღამე მაჩუქე ამგვარი რადგან,
  მოვიდა შენი თმების სინათლე,
  არაგვისპირას ნისლივით დადგა.

დავით მჭედლური

- ოუმც სანთლის მიმქრალ შუქად გამოჩნდი,
  ახლა მზე ხარ და ღმერთების ტოლი...
  შენც თუ წახვედი, შენც თუ გათხოვდი,
  გავქრები როგორც თებერვლის თოვლი.

გენადი ნანავა

- წყვილი ნაწნავი მხრებზე ეყარა
  და ჩახჩახებდა როგორც ქორწილი,...
  მისთვის მინდოდა ცა და ქვეყანა,
  რა გოგო იყო... ის დალოცვილი.

ნოდარ ნარსია

- ბაფრინდი, წახველ, შენი ფრთის ტაში
  ხორბლით მოფენილ მინდვრებს გაშორდა,
  ლამაზი იყავ როგორც რიჟრაჟი
  და საყვარელი, როგორც ბავშვობა.

გიორგი ნაფეტვარიძე

- მაინც გადავრჩი, ესა ვარ, რაც ვარ,
  მაინც მოვედი აგერ თქვენამდე,
  ზამთარი მოდის, გთხოვ შემიფაროთ
  პირველი მერცხლის ჩამოფრენამდე.

ენვერ ნიჟარაძე

- როცა სამარეს მივებარები
  დაღალული და ტანდაკორძილი
  შენზე დამრჩება ღია თვალები
  ანგელოსების ამოკოცნილი.

შოთა ნიშნიანიძე

- უთუოდ გეტყვი თუ გნახავ,
  ან რა მაქვს დასაფარავი,
  ვიცი რომ სხვასაც უყვარხარ,
  მაგრამ ჩემსავით... არავის.

ჯანსუღ ნიქაბაძე

- რას გიყურებ?
  სურს რომ თვალებს უმეცართ,
  შეამჩნიონ ნაკლიცა და მშვენებაც,
  თორემ თუკი შემიყვარდი უეცრად,
  ყველაფერი კარგად მომეჩვენება.

იოსებ ნონეშვილი

- ოთეთრი ფიფქების კორიანტელი
  მოგონებებში დარჩა სიფითრედ,
  როცა ძალიან მოგენატრები –
  ჩემი ლექსები გადაიკითხე.

ვაჟა ოთარაშვილი

- ახ, თუალის ჩინო, შენ ჩუენო ქალო,
  ქალო ქართუელავ, ეშხის ანთებავ,
  დაანთე აგრე სურვილი, მნათო,
  სიყუარულისა გამღვიძებელავ.

ალექსანდრე ორბელიანი

- სიყვარული არს თავდავიწყება
  სატრფოსთვის ვინ არ ევედრის ზეცას,
  რომ არც ჭმუნვა და არც მწუხარება,
  არ შეეხოს მის სახესა ტურფას.

გრიგოლ ორბელიანი

- კაცს ლექსი დააწერინოს
  არის უნარი ქალის;
  მაგრამ ყველასი კი არა, –
  გამორჩეული ქალის.

ვახტანგ პაპავა

- ჭრიჭინებით სავსე ბულულზე
  თუ არა წევხარ ზაფხულის ღამით
  და არ იგონებ შენს სახეზე
  ქალის თმების პირველ შეხებას
  განა ვარსკვლავს ვარსკვლავი ჰქვია?

გურამ პეტრიაშვილი

- შენი სახე
  არს ძნელი მახე
  ვინც მას გაებმის, ვაი მის ბრალი.

სოლომონ რაზმაძე

- მაჯერა ბევრი დამრჩა კიდევ სავალი
  გზებზე ყვავილებით სავსე კორდებია,
  ქალივით ჩურჩულებს იასამანი,
  თითქოს სიყვარულის ცეცხლი მოსდებია.

ანზორ სალუქვაძე

- ვინ იცის, კიდევ მოვა შხაპუნა,
  ვიცი ერთხელაც იქნება გვიან...

მე შენმა ზეცამ ცვარი მაპკურა,
მე უშენოდაც მიჯნური მქვია.

ალექსანდრე საჯაია

● აბორგდა ჩემი პირქუში ქარი,
ნალი გაუცვდა ჩემს ფრთაშლილ მერანს,
შორს დარჩა თეთრი ლამაზი ქალი,
ლამაზი ქალი, თეთრი და ქერა.

ლადო სულაბერიძე

● რა კარგი დღე ხარ მზემომფინარი,
სიყრმისა ჩემის დიდო ალაფო,
შენ ისე მავსებ, როგორც მდინარე
გაზაფხულობით ავსებს კალაპოტს.

არჩილ სულაკაური

● ბოლოს ყველაფერს დაერქმევა თავის სახელი:
შენ – ერთგული და ლამაზი ცოლი,
მე – ერთ დროს შენზე
უიმედოდ შეყვარებული.

ალექსანდრე ტაბატაძე

● მე ვფიქრობდი, მშვენიერო,
რომ გკოცნიდი, როგორც ხელი,
მთელ მსოფლიოს, მთელ მსოფლიოს
ნეტავ ერთი ჰქონდეს ყელი.

გალაკტიონ ტაბიძე

● შენთვის სიკვდილსაც მივიჩნევ არად...
მარტო შენ მწამხარ ხატად და ჯვარად...
შენ გეტრფი მარად, შენ გეტრფი მარად!

გ. უმწიფარიძე (გრიგოლ ვოლსკი)

● ქართველთა ქალნი, ვით ბროლ ფიქალნი,
თეთრი, ყირმიზი, პირზედ აქვთ ხალი,
მათთა მნახავთა მოედვის ალი.

უცნობი ავტორი (XVIII ს.)

● ჯაასხით... შევსვათ მკვდარი გულის შესანდობარი! –

ვთქვათ სადღეგრძელო: მაინც დავრჩეთ სატრფოს მკობარი, ვინც დაჭრა თვისი მომღერალი და მეგობარი.

სიკო ფაშალიშვილი

- მე ვარ და მთებში თერგის სათავე –
  ასე რომ ვშფოთავთ ცისმარე დილით...
  და შენზე ფიქრში როცა გავთავდე,
  გადამაფარე პატარა ჩრდილი.

შალვა ფორჩხიძე

- ეს გაზაფხული შენით მიცვნია,
  გზადაგზა მინდვრის ყვავილებს ვითვლი,
  და ახლა ფიქრიც არ შემიძლია,
  რომ შენ შეგეძლო ცხოვრება სხვისთვის.

შოთა ქავთარაძე

- ქალს ათასი თვალი აქვს,
  ქალს ათასი ყური აქვს,
  ქალი?
  ქალი ეშმაკის
  გამომცხვარი პურია.

იორამ ქემერტელიძე

- მერე გაფრინდნენ გაზაფხულები...
  ახლა – ვნანობ და ნაღველი მიპყრობს, –
  თურმე საკუთარ თავს ვატყუებდი,
  თურმე ნამდვილად მიყვარდა იმ დროს.

ოთარ შალამბერიძე

- თუ დავეცე, ნუ მიტირებთ დანანებით,
  ნაღველს გულში არასოდეს გავივლებდი,
  საქართველოს ლამაზებო, საქართველოს მანანებო,
  დამაყარეთ თქვენი ფერის ყვავილები.

ალეკო შენგელია

- დანაშული მიმიძღვის შენთან
  და ხედავ როგორ დამიჯდა ძვირად –
  გრძნობები მისთვის შემომეთენთა,
  რომ უშენოდაც ვცხოვრობდი დიდხანს.

ნიკოლოზ ჩაჩავა

● და აი, ახლა, როს უმთვარო ღამეს მინათებ,
შენ გაიღიმე და ის ფიცი უარყავ მერე,
არ დაგიჯერე, რადგან არის ქვეყნად სიმართლე,
რომელიც გინდა არ გჯეროდეს და არ იჯერებ.

შოთა ჩანტლაძე

● ეს გული ხომ შენსკენ ქარივით ილტვოდა,
არ მსურდა სიწმინდის შელახვაც.
მე შენი ტრფიალი მინდოდა
და შენი ბავშვობის შენახვაც.

სიმონ ჩიქოვანი

● ჩემს სულს ალერსი სურის
და თუ წყაროს წყალს აქებ, –
დალიე ჩემი სულიც,
ოღონდ შემახე ბაგე.

თამაზ ჩხენკელი

● შენ კი სად ხარ – გულს დავეძებ,
როგორც კარზე ზარის ღილაკს.
მიაბიჯებ ზამთრის გზებზე
და ზაფხულის ცოდვა მიგაქვს.

ვანო ჩხიკვაძე

● ერთხელ ქუჩის ერთ კუთხეში, ერთხელ ერთმა ქალმა
მადლიანად შემომხედა, გამიღიმა სალმად;
იმისთანა ღამის ფერი არ მინახავს სხვა მე...
იმის მერე ამ ქუჩაზე, არ ყოფილა ღამე.

გივი ძნელაძე

● ნეტავი ერთხელ მათქმევინა
– აღარ მიყვარხარ!
ნეტავ ეს ტყვია მასროლინა ჩემი თავისთვის.

მამუკა წიკლაური

● ჩემო ციცინათელა
სადა ჰფრენ ნელა-ნელა,
შენმა შორ-შორ ნათებამ

უდროოდ დამანელა.

აკაკი წერეთელი

- შენ უნდა ცისფერ ღრუბლებთან იწვე
  უნდა ღრუბელი გეფინოს ლურჯი.

ტარიელ ჭანტურია

- მგვლენ შენნი სულგრძელებანი
  დამრთე ტრფიალის ნებანი.

ალექსანდრე ჭავჭავაძე

- ჰო, მაგრამ მარტოდენ ბოდვებია,
  ჩემს შუბლზე ძაფებად დაქსაქსული,
  სხეულზე ცეცხლივით მომდებია, –
  სიცოცხლის უშენოდ დასასრული.

ოთარ ჭელიძე

- რა იყო მაინც ის ერთი ჭიქა –
  ოქტომბრით სავსე და შენით სავსე.
  აღარსად ჩანდი აღარსად იყავ...
  სულ ერთმა ჭიქამ დამათრო ასე.

თამაზ ჭილაძე

- მე ალბათ დიდხანს მექნება ვალი,
  მაგრამ ვიქნები სულ მხიარული,
  ეს გაუმარჯოს შენს ეშმაკ თვალებს –
  და სარკეებში ნასწავლ სიარულს.

ოთარ ჭილაძე

- რატომ არ მოდიოდი,
  სხვასთან რატომ გაჩერდი?!
  გული როგორ მტკიოდა,
  მარტო შენ მომარჩენდი.

ფრიდონ ხალვაში

- ქალაუ, ისე თეთრი ხარ,
  როგორც საყდარში კირიო!
  ღამის-ღამ მომაგონდები,
  წამოვდგები და ვტირიო.

ხალხური

- იქნებ მინდორზე დგეხარ შროშანად
  ქარს მოაქვს ჩემი ხმები შენამდე.
  ... ნეტავ მაშინაც, როცა შორსა ვართ,
  ერთიმეორეს სიზმრად ვხედავდეთ.

ვახტანგ ხარჩილავა

- გულს ამოვიგლეჯ, მზექალ საკუთარს
  და შენ ჩაგიდგამ!
  დაე, ალალი
  იყოს ის შენთვის ...
  თუ ბედნიერი
  იქნები მგოსნის ქალღმერთი ჯიქი;
  ჩემთვის კი, აბა რა ბედენაა,
  თუ რომელ მკერდქვეშ იბორგებს იგი.

გაბრიელ ჯაბუშაური

- ის უცნობი ძაღლს უმზერდა (ძაღლი იდგა ბეღურებთან)
  ძაღლი – გოგოს, გოგო – მამას, მამა უცნობს შეჰყურებდა,
  ამ მზერაში იყო რაღაც უცნობი და აუხსნელი;
  ტრიალებდა, ტრიალებდა, ტრიალებდა კარუსელი.

ვახტანგ ჯავახაძე

- აცრემლებული მარტის ფიფქების
  წუხილი ახლა მესმის საოცრად,
  ისე გეძებენ ახლა ფიქრები,
  როგორც მლოცველი ხატს და სალოცავს.

ნოდარ ჯალაღონია

- ეგ შავ-შავი ნაწნავები, სახრჩობელა ჩემი,
  ეგ თვალები – ვარსკვლავები, ნაპერწკლების მჩენი,
  ისე მწვავენ მტანჯავები, ვეღარ გადავრჩები.

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

- გინდა ჯვარზედაც მაცვან,
  მე სხვას ვერ შევიყვარებ,
  შენ კი გძულვარ მაგრამა,
  მე შენ თავს განაცვალებ!..

ლადო ჯაფარიძე

- წვიმს, საყვარელო, წვიმს...
  ეშველათ მწყურვალ ველებს;
  მოხვალ სველსა და ცივს,
  მხრებზე დამაწყობ ხელებს...
  ვის შევლეოდი, ვის?
  შენ საყვარელო? მერე?..

იმედი ჯახუა

- მე ვწერდი დიდხანს, – გათენდა ვიდრე
  და არ მიხილე, თოლიგე, გვერდით;
  და ჩვენი შური ექნებათ ვიდრე,
  ვიქნებით ერთად, მოწმეა ღმერთი.

მურმან ჯგუბურია

- როგორ მიდის ეს სოფელი
  სევდიანი ფერებით...
  სხვა მიყვარდა, სხვას ვუყვარდი
  და სულ სხვას ვეფერები.

გრიგოლ ჯულუხიძე

1001 WORDS ABOUT WOMAN

Compiler **ZURAB DANELIA**

ARTANUJI PUBLISHERS
TBILISI 2006

გამომცემლობა **არტანუჯი**
თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 17 ბ
25-05-22, 91-22-83, 8(93) 25-05-22
artanuji@artanuji.ge www.artanuji.ge